

თეიმურაზ გოჩიტაშვილი

საქართველოს ენერჯეტიკა.
გაზის სექტორის განვითარების
პრიორიტეტები

გამომცემლობა “მერიდიანი”
თბილისი - 2012

შაკ 622.691
625.93.001

თ. გოჩიტაშვილი – საქართველოს ენერგეტიკა. გაზის სექტორის განვითარების პრიორიტეტები

ნაშრომში განხილულია საქართველოს ენერგეტიკის, კერძოდ, ბუნებრივი გაზის ბაზრის დღევანდელი მდგომარეობა, საპროგნოზო შეფასებები და განვითარების სტრატეგიული მიმართულებები. რეკომენდებულია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ბაზრის ლიბერალიზაციისა და რეგიონულ სტრუქტურებში ინტეგრაციის ხელშემწყობი ღონისძიებები.

ნაშრომი მომზადებულია ხელმისაწვდომი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე და განკუთვნილია საქართველოს ენერგეტიკის, კერძოდ გაზის სექტორის განვითარების სტრატეგიულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისათვის, აგრეთვე უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. მასში მოცემული ინფორმაცია, დებულებები და რეკომენდაციები მხოლოდ ავტორის პირად შეხედულებებს ასახავს და არ გამოხატავს არც საქართველოს მთავრობის და არც რომელიმე სახელმწიფო კომპანიის ოფიციალურ პოზიციას.

ავტორი მადლიერებით აღნიშნავს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის თანამშრომელთა დახმარების შესახებ, რომელთა კომენტარებისა და რჩევების გათვალისწინებით ნაშრომი მნიშვნელოვნად დაიხვეწა.

ნაშრომი გამოცემულია “ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველოს” მხარდაჭერით (www.eecgeo.org; E-mail: eecgeo@eecgeo.org; Tel: + 995 32 2474247)



რედაქტორი: გიორგი აბულაშვილი
ტექნიკური რედაქტორი: ქეთევან გოჩიტაშვილი

- © თეიმურაზ გოჩიტაშვილი,
- © ენერგოეფექტურობის ცენტრი საქართველო
- © გამომცემლობა “მერიდიანი”

ISBN -----

დაიბეჭდა გამომცემლობა “მერიდიანის” სტამბაში.
თბილისი, ცემის ქ. № 3. E-mail: meridiani777@gmail.com

შინაარსი

რეზიუმე (ინგლისურ ენაზე)

შესავალი

1. არსებული მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები
 - 1.1 ენერგეტიკული ბაზარი
 - 1.2 სექტორის ინსტიტუციური მოწყობა და გაზის ბაზარი
 - 1.3 ენერგეტიკული რესურსების ურთიერთთანაცვლებისა და იმპორტული სათბობის დაზოგვის პოტენციალი
 - 1.4 სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

2. საპროგნოზო შეფასებები
 - 2.1. მოთხოვნის პროგნოზი
 - 2.2. მოწოდების წყაროები
 - 2.3. ფასების პროგნოზი

3. გამოწვევები და პრობლემები
 - 3.1. ენერგეტიკული უსაფრთხოება
 - 3.2. კანონმდებლობა და რეგიონული ინტეგრაცია
 - 3.3. მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები

4. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები

T. Gochitashvili.
**GEORGIAN ENERGY SECTOR. MAIN PRIORITIES OF GAS SECTOR
DEVELOPMENT**

BRIEF SUMMARY

As a result of the intensive rehabilitation and construction works and restructuring of the sector during the recent years, as well as, in consequence of putting transnational and local main pipelines and high-voltage power transmission lines into operation, the problem of energy security of Georgia has mostly been resolved already. However, at the current, transition stage of development of the economy it is faced by a serious risk without rational planning of expensive imported fuel supply, consumption and their maximum replacement by local resources, acceleration of processes of further liberalization of the energy markets and integration into regional systems. Accordingly, strategic planning of development of the country's energy, and particularly the gas sector, for the purpose of guaranteed satisfaction of demand of the population and various segments of economy with the quality fuel resources at affordable prices, acquires particular significance and is reviewed in the publication.

The first chapter provides a short overview of development of the Georgian natural gas market, issues of institutional organization of the sector and potential of substitution of imported energy resources; also the main transportation infrastructure are discussed.

The second chapter is dedicated to evaluation of demand on gas, supply sources and price forecasts.

The current challenges of the Georgian energy sector, such as energy security, integration into regional structures and harmonization of the relevant legislation with EU standards, as well as identification of significant investment projects and bringing investments required for their implementation, are reviewed in the third chapter of the publication.

The main development priorities of the Georgian natural gas sector and related sectors of economy are provided in the form of conclusions and recommendations.

The publication is intended for the experts working on strategic issues of development of the Georgian energy, and particularly, the gas sector, as well as university students.

შესავალი

საქართველოს ეკონომიკის განვითარებისა და პროგრესულ საერთაშორისო პოლიტიკურ და გლობალურ ეკონომიკურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის დღევანდელ ეტაპზე განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ენერგეტიკული უსაფრთხოებისა და მოსახლეობისა და ეკონომიკის მზარდი მოთხოვნის ხელმისაწვდომი რესურსებით უზრუნველყოფა.

ბოლო წლების ინტენსიური აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოებისა და დარგის საწარმოთა რესტრუქტურის ხარჯზე, აგრეთვე ტრანსნაციონალური მაგისტრალური მილსადენების და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების ამოქმედების შედეგად, მნიშვნელოვანწილად უკვე გადაწყვეტილია ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემა. მიუხედავად აღნიშნულისა, დღევანდელ ეტაპზე ძვირადღირებული იმპორტული სათბობის მოწოდება-მოხმარების რაციონალური დაგეგმვისა და ადგილობრივი რესურსებით მათი მაქსიმალური ჩანაცვლების, ენერგეტიკული ბაზრის შემდგომი ლიბერალიზაციისა და რეგიონულ სისტემებში ინტეგრაციის პროცესების დაჩქარების გარეშე სერიოზული საფრთხის ქვეშ დგება ქვეყნის განვითარება ზოგადად. შესაბამისად, ქვეყნის ენერგეტიკის სხვადასხვა მიმართულების, მათ შორის გაზის სექტორის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა მოსახლეობისა და მეურნეობის სხვადასხვა დარგის მზარდი მოთხოვნის კონკურენტულ ფასიანი და ხარისხიანი სათბობი რესურსებით დაკმაყოფილების მიზნით, სადღეისო აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.


1. არსებული მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები

1.1. ენერგეტიკული ბაზარი

90-იანი წლების დასაწყისში საქართველოს თითოეული მოსახლე დაახლოებით იმდენივე ენერგიას მოიხმარდა, რასაც მსგავს გეოგრაფიულ-კლიმატურ პირობებში მცხოვრები ევროპელი (იტალიის, ესპანეთის, ავსტრიის, პორტუგალიის, საბერძნეთის, თურქეთის მოქალაქეები საშუალოდ), თუმცა პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე 3-4-ჯერ უფრო მეტ ხვედრით ენერგიას ხარჯავდა და მთლიანი შიდა პროდუქტის 1 სულ მოსახლეზე დაყვანილი სიდიდით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საშუალო ევროპულ მაჩვენებელს. ენერგიის წლიური მოხმარება საქართველოში მნიშვნელოვნად არის შემცირებული გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისის მონაცემებთან შედარებით.

საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემა საბჭოთა პერიოდში კავკასიის ერთიანი რეგიონული სისტემის ნაწილი იყო, რაც საშუალებას იძლეოდა ქვეყანას შეეწყო სეზონური დეფიციტი ზამთარში მეზობელი რესპუბლიკებიდან და, პირიქით, მიეწოდებინა გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში ჰიდროსადგურებზე წარმოებული ჭარბი ენერგია. გარდა ამისა, ქვეყანას შესაძლებლობა ჰქონდა, მიეღო პრაქტიკულად შეუზღუდავი რაოდენობის იაფი ნავთობი და გაზი. ასევე, ადგილობრივ, დოტაციურ საბადოებზე წარმოებული ქვანახშირის გასაღება, ძირითადად, წარმოებდა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში შედარებით მაღალხარისხოვან სათბობთან შერევის შემდეგ. შედეგად, საქართველომ მემკვიდრეობით მიიღო ენერგოგამფლანგველი ეკონომიკა, რომლისთვისაც საბაზრო ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი კონკურენცია, გასაღების ბაზრებისათვის ზრუნვა და იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებსა და ბუნებრივ გაზზე რეალური საბაზრო ფასების შემოღება დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დამანგრეველი აღმოჩნდა. პროცესი დაახლოებით რუსეთის დესტრუქციული მოქმედებითა და სეპარატისტული რეჟიმებისადმი მხარდაჭერით განპირობებულმა მიყფე პოლიტიკურმა მდგომარეობამ რეგიონში, რაც აისახა ენერგორესურსების მოწოდების შეზღუდვაში, ზოგჯერ დივერსიულ შეწყვეტასა ან ფასების მკვეთრ და არაადეკვატურ ზრდაში.

გარდა ამისა, ქვეყნის ენერგომომარაგების სისტემის ფაქტობრივ კოლაფსში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ინფრასტრუქტურის გეგმიური მომსახურებისა და პროფილაქტიკურ-ადდენითი სამუშაოების შეუსრულებლობამ, სწორი მენეჯმენტისა და ფინანსური კონტროლის უუნარობამ, მემკვიდრეობით მიღებული, ცენტრიდან მართული ეკონომიკური კავშირების მოშლამ. ენერგოგამფლანგველი ტექნოლოგიებით მომუშავე სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მოხმარების მკვეთრი შემცირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში სერიოზული ენერგეტიკული კრიზისის განმაპირობებელი ფაქტორი გახდა. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული ენერგეტიკული რესურსების მოხმარების მკვეთრი შემცირება თითქმის 15 წელი გაგრძელდა, მოხმარების ზრდის შეუქცევადი პროცესის აღდგენამდე. ნახაზზე ნაჩვენებია პირველადი ენერგეტიკული რესურსების ჯამური მიწოდების (TPES) ცვალებადობა საქართველოში 1990-2011 წლებში.



ნახაზი 1. პირველადი ენერგეტიკული რესურსების ჯამური მიწოდება, კტნე¹

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერჯის გენერაცია (დაახლოებით 10 მლრდ კვტსთ-მდე 2011 წლისათვის) და მოხმარებაც, რომლის წლიური ზრდა 2009-2011 წლებში საშუალოდ 10 %-ს გაუტოლდა. საქართველო 2007 წლიდან ელექტროენერჯის ნეტ ექსპორტიორია და აწარმოებს გაყიდვის ან გაცვლის ოპერაციებს რუსეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთსა და თურქეთთან, თურქეთის გავლით კი ევროპაშიც².


სათბობი რესურსების მოხმარება ელექტროენერგეტიკაში მინიმუმამდეა შემცირებული, რაც განპირობებულია პრიორიტეტის მინიჭებით ადგილობრივ განახლებად, კერძოდ, უხვი ჰიდროენერგეტიკული რესურსებით გენერირებულ ელენერჯისათვის, რომლის წილი 2008-2010 წლებში 80-85 %-მდე გაიზარდა 90-იანი წლების 55-60 %-ის ნაცვლად (ნახაზი 2). ჰიდროენერგეტიკის წილის 90 %-იანი ზღვრის მიღწევა იყო გათვალისწინებული სექტორის განვითარების მოკლევადიანი პროგრამით 2012 წლისათვის³, თუმცა ბოლო 2 წლის პრაქტიკა ადასტურებს ამ მიზნის მიღწევის არარეალურობას დღევანდელ ეტაპზე, განახლებადი ენერგეტიკის კლიმატზე სპეციფიკური დამოკიდებულებისა და პერიოდულად (4-5 წელიწადში ერთხელ) ქვეყნის ძირითად ჰიდროგენერაციის ობიექტზე – ენგურის ჰესზე გეგმიური სარემონტო-პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის გამო, რაც, შესაბამისად, თბოგენერაციის მიერ წარმოებული ენერჯის არანაკლებ 15 %-იანი საშუალო წლიური წილის აუცილებლობას განაპირობებს⁴.

¹ ელექტროენერჯის გადაყვანისათვის ტონა ნავთობის ექვივალენტში (ტნე) მიღებულია, რომ ერთი მლნ ტ ნავთობის უტილიზაციით თანამედროვე თბოელექტრო სადგურზე შეიძლება მიღებული იქნეს 4000 გიგავტსთ ელექტროენერჯია. ელენერჯის გარდა ბალანსი არ ითვალისწინებს დროებით ოკუპირებულ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მომარაგება პირველადი ენერგორესურსებით

² The EU and its Eastern Partners: Energy Needs and Future Prospects, European Parliament, Directorate-General for External Policies, Policy Department, 2012

³ “Basic Data and Directions for 2009-2012”, Government Resolution # 107, 18.04.2008


⁴ 2011 წელს თბოსადგურებზე ფაქტიურად გენერირებული ელენერჯის წილმა ბალანსში 20 %-ს გადააჭარბა, რაც, I და II კვარტლის ფაქტიური მანვენებლების გათვალისწინებით, სავარაუდოდ შენარჩუნებული იქნება 2012 წლის პროგნოზითაც



ნახაზი 2. ელექტროენერჯის გენერაციის სტრუქტურა (ტერავტს-ებში)

ინდუსტრიის, კომერციული და საყოფაცხოვრებო სექტორების მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად ქვეყანაში ძირითადად იმპორტირებული გაზი, ნავთობპროდუქტები და ადგილობრივი ბიორესურსები (ძირითადად შეშა) მოიხმარება.

საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე იაფი, მოხმარებისათვის მარტივი და ეკოლოგიურად უსაფრთხო რესურსის, ბუნებრივი გაზის მიწოდება-მოხმარება გასული დეკადის დასაწყისის ეკონომიკის გამოცოცხლების პერიოდიდან, 2008-2010 წლების კრიზისული პერიოდის გარდა, ზრდადი ტენდენციით ხასიათდება (ნახაზი 3), თუმცა 90-იანი წლების დასაწყისის პიკური 5-6 მლრდ მ³-დან 2011-2012 წლებში 1.8-2 მლრდ მ³-მდე შემცირებული.



ნახაზი 3. ბუნებრივი გაზის მოხმარება სექტორების მიხედვით, მლნ მ³/წ (2012 წ. – საპროგნოზო მონაცემი)

გაზის მიწოდება-მოხმარების შემცირების ძირითადი მიზეზები, ენერგოგამფლანგველი ტექნოლოგიებით მომუშავე საწარმოების ლიკვიდაციასთან და საყოფაცხოვრებო სექტორში ენერგოეფექტური გათბობის სისტემების დანერგვასთან ერთად, გაზის მოხმარების წილის მნიშვნელოვანი შემცირებაა ელენერჯის გენერაციაში, ადგილობრივ ჰიდრორესურსებზე წარმოებული

ელექტროენერჯის დომინირების გამო. გარდა ამისა, მინიმუმამდე არის შემცირებული ტრანსპორტირების დროს გაზის ტექნოლოგიური დანაკარგებიც, რაც მიღწეული იქნა მაგისტრალურ მილსადენებზე ჩატარებული სარეაბილიტაციო-რეკონსტრუქციის სამუშაოებისა და მართვისა და აღრიცხვიანობის თანამედროვე სისტემების დანერგვის საშუალებით (დანაკარგები საქართველოს მაგისტრალური მილსადენების სისტემაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების, აგრეთვე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სისტემებთან შედარებით).

ნავთობპროდუქტების ჯამური წლიური მოხმარება საქართველოში უკანასკნელ პერიოდში 800-950 ათასი ტნე შეადგენდა. ნავთობპროდუქტები საქართველოში არ იწარმოება და ქვეყნის მოთხოვნა მთლიანად იმპორტირებული რესურსით კმაყოფილდება. ნედლი ნავთობისა და ნავთობპროდუქტების ბაზარი მთლიანად არის ლიბერალიზებული და ფასებიც მეტნაკლებად ასახავს საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფასები ნავთობპროდუქტებზე, განსაკუთრებით საყოფაცხოვრებო სექტორში გამოყენებულ თხევად ნავთობის გაზზე (LPG), საქართველოში საკმაოდ მაღალია ბუნებრივი გაზის ფასთან, აგრეთვე საბაზრო ფასებთან შედარებით მეზობელ ქვეყნებში, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს არაჯანსაღი კონკურენციის პირობებთან ადგილობრივ ბაზარზე, მათ შორის, სარეალიზაციო ფასებზე ფარულ (კარტელურ) შეთანხმებებზე, ბაზრის სეგმენტების დანაწილებასა და ექსკლუზიურ უფლებებზე, დომინანტი მომწოდებლის არაკეთილსინდისიერ ქმედებაზე, კონკურენციისათვის საზიანო შერწყმებსა და აქტივების შეძენებზე და ა.შ.⁵

ნავთობპროდუქტების ფასების ოპტიმიზაციის მნიშვნელოვან პოტენციალს შეიცავს ადგილობრივ მოპოვებული ნავთობის გადამამუშავებელი მცირე სიმძლავრის წარმოების ორგანიზაცია (აღდგენა თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა და დასრულებული ტექნოლოგიური ციკლის რეალიზაციით). ამისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია “ნავთობისა და გაზის შესახებ” კანონში ცალსახად განისაზღვროს ნებადართული ნავთობის გადამამუშავებისა და ნავთობპროდუქტების ტერმინები⁶ და მოიხსნას ამგვარად წარმოშობილი ბარიერი ნავთობგადამამუშავების ადგილობრივი პოტენციალის რეალიზაციისათვის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოში.

საქართველოს ენერგეტიკული ბალანსის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადგილობრივი ბიორესურსები, ძირითადად შეშა. საექსპერტო შეფასებით, შეშის ჭრის რეალური მოცულობა სხვა ენერგეტიკული დანიშნულების აღურიცხავ სათბობ რესურსებთან ერთად (ხე-ტყის გადამამუშავებისა და სასოფლო სამეურნეო წარმოების ნარჩენები, წივა, ტორფი და სხვა) წლიურად დაახლოებით 400 ათას ტნე-ს აღწევს.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში ქვანახშირის მოხმარება საქართველოში 23 ათასიდან 360 ათას ტონამდე გაიზარდა, ამასთან, იმპორტული ნახშირი მთლიანად ადგილობრივი პროდუქციით არის ჩანაცვლებული. შესაძლოა ნახშირის მოპოვების ზრდა უახლოესი 2-3 წლის განმავლობაში 450 ათას, დეკადის ბოლოსათვის კი 600 ათას ტონამდე წელიწადში.⁷

⁵ წყარო: Einar Hope, Optimal Composition and regulation of a liberalized electricity system(Presentation), ISET, November 8, 2012

⁶ საქართველოს კანონი “ნავთობისა და გაზის შესახებ”, მუხლი ბ, პუნქტი 2

⁷ წყარო: ტყიბული-შაორის საბადოს ნახშირმოპოვებელი შახტების მენეჯმენტი

ქვანახშირი, ძირითადად, გამოიყენება ცემენტის წარმოებასა და მეტალურგიაში, შედარებით მცირე რაოდენობით კი 13,5 მგვტ დადგმული სიმძლავრის თბოელექტროსადგურის მომარაგებისათვის, საყოფაცხოვრებო სექტორში, სარკინიგზო ტრანსპორტსა და სომხეთში ექსპორტისათვის. პერსპექტივაშიც ქვანახშირის გამოყენება, ძირითადად დაკავშირებულია სამრეწველო სექტორის, კერძოდ საშენ მასალათა წარმოების და მეტალურგიის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

12. სექტორის ინსტიტუციური მოწყობა და გაზის ბაზარი

ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის, მათ შორის გაზის სექტორის, განვითარების სტრატეგიის შემუშავება და განხორციელების კონტროლი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს უპირველესი მოვალეობაა. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია (სეწმეკ) კი ახორციელებს სექტორის რეგულირებას სათანადო საკანონმდებლო აქტებისა და წესების მეშვეობით.

ენერგეტიკის სამინისტროს მიერ შემუშავებული საბაზრო წესებით არის განსაზღვრული გაზის მიწოდებისა და სატრანსპორტო სისტემასთან მიერთების წესები, აგრეთვე, ტექნიკური სტანდარტები. სამინისტრო ადგენს ბუნებრივი გაზის წლიურ ბალანსსაც ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში, აწარმოებს მისი შესრულებისა და ტექნიკური ნორმების მონიტორინგს.


გაზის ბაზარზე 2007 წლის აგვისტომდე ყველა ძირითადი საქმიანობის (საბითუმო და საცალო მიწოდება, ტრანსპორტირება და დისტრიბუცია) ტარიფები რეგულირდებოდა ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მიერ. ბაზრის ნაწილობრივი დერეგულაციის შემდეგ, 2007 წლიდან, გაზის საბითუმო მიწოდება (იმპორტი, წარმოება, აგრეთვე ტრანზიტი) რეგულირდება საბაზრო მექანიზმებით, ხოლო მარეგულირებელ ორგანოს დაევალა ტრანსპორტირების და დისტრიბუციის ბუნებრივად მონოპოლური საქმიანობის, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომხმარებელთა და ენერგოგენერაციის სექტორისათვის საცალო მიწოდების ფასების დადგენა. სეწმეკის მიერ დადგენილია აგრეთვე მიწოდების ზღვრული ტარიფები ზოგიერთი იმ საცალო მომხმარებლისათვის, რომლებიც დერეგულირებას დაექვემდებარდნენ.

ბუნებრივი გაზის სექტორში ტრანსპორტირებისა და დისტრიბუციის საქმიანობათა წარმოება დასაშვებია მხოლოდ ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.

სახელმწიფოს კუთვნილი საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაცია (სნგკ), ისევე როგორც საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია (გტკ) მნიშვნელოვან როლს თამაშობს გაზის ბაზარზე. სნგკ არის ქვეყნის გაზის მაგისტრალური მილსადენების სისტემის მფლობელი. იგი ახორციელებს ბაზარზე სამხრეთ კავკასიური მილსადენით (სკმ) ტრანზიტის საფასურად მიღებული ოპციური და დამატებითი, აგრეთვე, გტკ-ს მიერ რუსული გაზის ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზის მიწოდებას ბაზრის რეგულირებადი სეგმენტის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისა და ენერგოგენერაციის ობიექტებისათვის, "სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტის" მეშვეობით. სნგკ, აგრეთვე უზრუნველყოფს ადგილობრივ წარმოებული გაზის მიწოდებას ბაზრის კონკურენტული სეგმენტისათვის აუქციონების მეშვეობით.

გტკ ტრანსპორტირების ლიცენზიანტია და ახორციელებს მაგისტრალური მილსადენების მომსახურებასა და ოპერირებას, აგრეთვე რუსული გაზის ტრანზიტს სომხეთში და აწვდის სნგკ-ს ტრანზიტის საფასურად მიღებულ გაზს, მასთან დადებული საიჯარო და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე. გტკ უზრუნველყოფს გაზის ნაკადის ტრანსპორტირებას მომწოდებლებიდან შიგა ბაზრის სადისტრიბუციო ქსელებამდე და პირდაპირ მომხმარებლებამდე ("მტკვარი ენერჯეტიკისა" და "ჯი-პაუერის" თბოგენერაციის ობიექტებამდე).

გაზის მოწოდებას (იმპორტს) ადგილობრივ ბაზარზე, როგორც რეგულირებად სეგმენტში, ისე კომერციული მომხმარებლებისათვის, აწარმოებს, აგრეთვე, აზერბაიჯანის ნავთობის სახელმწიფო კომპანია "სოკარი" თავისი შვილობილი "სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტის" მეშვეობით.



ნახაზი 4. გაზის ნაკადი საქართველოს ენერჯეტიკულ ბაზარზე

ბუნებრივი გაზის სექტორის საწარმოები, მაგისტრალური გაზსადენების სისტემის გარდა, პრაქტიკულად, მთლიანად პრივატიზებულია და კერძო (ან სხვა სახელმწიფოების კუთვნილი) კომპანიების მიერ კონტროლდება. "სოკარი", მისი კუთვნილი სადისტრიბუციო კომპანიების მეშვეობით და ყაზახეთის სახელმწიფო კომპანია "ყაზტრანსგაზის" კუთვნილი "ყაზტრანსგაზ თბილისი", აკონტროლებენ შიგა საცალო ბაზრის ძირითად ნაწილს და სხვა კერძო კომპანიებთან ("ვისოლ პეტროლეუმი", საქართველოს ენერჯეტიკის საერთაშორისო კომპანია - სსეკ) ერთად, აწარმოებენ გაზის დისტრიბუციასა და საცალო მიწოდებას მომხმარებლებისათვის.

ქვეყნის ჯამური მოხმარების 60-70 %, კერძოდ, ბაზრის რეგულირებადი საყოფაცხოვრებო და ენერგოგენერაციის სექტორის მოთხოვნის დაკმაყოფილება, სტაბილური ტარიფების შენარჩუნების პირობით, მთლიანად უზრუნველყოფილია აზერბაიჯანთან შეთანხმებული სამთავრობო მემორანდუმითა და მის საფუძველზე "სოკართან" და მის შვილობილ კომპანიასთან დადებული გაზის მოწოდების გრძელვადიანი, კომპლექსური ხელშეკრულების პირობებით. ხელშეკრულების პირობები უზრუნველყოფს გაზის მოწოდებასა და მოხმარებას შორის მკვეთრი სეზონური დისბალანსის განეიტრალებასაც. განსაზღვრულია ტარიფში საბითუმო მიწოდების მდგენელი საყოფაცხოვრებო სექტორის, ენერგოგენერაციის ობიექტებისა და ქართულ-აზერბაიჯანული მხარის მიერ ერთობლივად

ნომინირებული პირ(ებ)ისათვის (საწარმოსათვის) მიმდინარე დეკადის განმავლობაში.

ბაზრის დანარჩენი, ჯამური მოხმარების დაახლოებით 35 % კი კომერციული სექტორისთვისაა განკუთვნილი და ამ ნაწილზე ფასები დერეგულირებულია – ბოლო მომხმარებლებს შეუძლიათ შეირჩიონ მომწოდებელი და შეათანხმონ გაზის ტარიფი.

ურთიერთობები მომწოდებლებს, ტრანსპორტირებისა და დისტრიბუციის ლიცენზიანტებსა და პირდაპირ მომხმარებლებს შორის რეგულირდება ბუნებრივი გაზის ბაზრის წესებით. გაზის ყიდვა-გაყიდვისა და ტრანსპორტირება-დისტრიბუციის საქმიანობათა პროცედურული საკითხების განსაზღვრა გათვალისწინებულია მხარეებს შორის დადებული ორ- ან მრავალმხრივი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ ჩატარებული შედარებითი ანალიზის საფუძველზე დადგენილია საქართველოს ენერგეტიკული ბაზრების შეფასების ფარდობითი მახასიათებლები⁸. კრიტერიუმად აღებულია მაგალითები საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკიდან, რასაც მინიჭებული აქვს ერთი ქულა. საქართველოს გაზის სექტორისათვის მახასიათებელი პარამეტრები შეფასებულია შემდეგნაირად: მარეგულირებელი ორგანოს დამოუკიდებლობა და მისი უფლებამოსილება - დაახლოებით 0,85; ბაზრის სტრუქტურა - 0,37; დაშვება ქსელებზე - 0,66; ტარიფის სტრუქტურა – 0,91; საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულებები – 0,52; გამჭვირვალობა – 0,57; კერძო სექტორის ჩართულობა ინვესტირებაში – 0,55 ქულა. საერთო ჯამში საქართველოს გაზის სექტორის ინსტიტუციონალური მოწყობის, ბაზრის სტრუქტურისა და მესამე მხარის დაშვების, ტარიფების სტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულებებისა და გამჭვირვალობისა და კერძო სექტორის ჩართულობის მიხედვით ქვეყნის კომლექსური შეფასების მაჩვენებელი დაახლოებით 0,67 ქულით შეფასდა.

ანალიზი, მათ შორის შედარება ევროპის ენერგეტიკული თანამეგობრობის წევრი და დამკვირვებელი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებთან, აჩვენებს, რომ განსაკუთრებული ძალისხმევა არის საჭირო ბაზრის სტრუქტურის, საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულებების და გამჭვირვალობის მკვეთრი გაუმჯობესების მიზნით. რაც შეეხება კერძო სექტორის ჩართულობას საინვესტიციო საქმიანობაში, ამ მიმართულებით მდგომარეობა მნიშვნელოვნად არის გამოსწორებული, კვლევების ჩატარების პერიოდში (2009 წ) არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

⁸ Georgia Country Profile (2009). www.ebrd.com/downloads/legal/irc/countries/georgia.pdf

1.3. ენერგეტიკული რესურსების ურთიერთჩანაცვლებისა და იმპორტული სათბობის დაზოგვის პოტენციალი

1.3.1. ნავთობისა და გაზის გადამუშავების პროდუქტები

ენერჯის ავტონომიური წყაროების ექსპლუატაციაზე დაფუძნებული დეცენტრალიზებული მეურნეობრიობის განვითარება საქართველოს მაღალმთიანი, ძნელად მისადგომი რეგიონების ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა. ასეთი გადაწყვეტის ერთ-ერთი ხელშემწყობი ვარიანტი შეიძლება გახდეს ძვირადღირებული და ეკონომიკურად გაუმართლებელი მილსადენების მშენებლობის ნაცვლად აღნიშნული რეგიონების მომარაგება გაზის ტრანსფორმაციის პროდუქტებით (გათხევადებული - LNG და კომპრესირებული გაზი - CNG) ან პროპან-ბუტანიტ (ნავთობის თხევადი გაზი - LPG).

კომპრესირებული ბუნებრივი გაზით ძვირადღირებული ნავთობპროდუქტების ჩანაცვლება სატრანსპორტო სექტორში ხელს შეუწყობს ფასების დარეგულირებას და უზრუნველყოფს მავნე გამონახობლების დაახლოებით 30 %-ით შემცირებას. ნავთობპროდუქტების კომპრესირებული გაზით ჩანაცვლების კარგი მაგალითია სომხეთი, სადაც ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნისა და სათბობზე დანახარჯების მნიშვნელოვანი შემცირების მიზნით, საავტომობილო პარკის დაახლოებით 3/4 ნაწილი შედარებით იაფ კომპრესირებულ გაზზე არის გადაყვანილი.

ენერჯიაზე ხვედრითი დანახარჯების შემცირების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პოტენციალი არსებობს გაზსადენებით დაუფარავი რეგიონების საყოფაცხოვრებო მომხმარებლის ტრადიციული თხევადი გაზით (LPG) მომარაგების სფეროში. დღეისათვის LPG ფასი ადგილობრივ ბაზარზე არაადეკვატურად მაღალია (2000 აშშ დოლარი/ტ-ზე მეტი) მიმდებარე რეგიონების საბაზრო ფასებთან შედარებით. ასე, მაგალითად, რუსეთსა და ცენტრალური აზიის ნავთობისა და გაზის მწარმოებელ ქვეყნებში LPG ფასი დაახლოებით 300 აშშ დოლარი/ტ შეადგენს⁹. გასაგები მიზეზების გამო, ასეთი ფასი საქართველოში მიუღწევადია, მაგრამ იგი იძლევა წარმოდგენას პროდუქციის თვითღირებულებაზე.

Argus Media Ltd-ს ინფორმაციით, LPG ფასი ხმელთაშუა ზღვის რეგიონულ ბაზარზე (Coasters fob Med) 879-917 აშშ დოლარი/ტ ფარგლებში ცვალებადობს¹⁰. Platts-ის ინფორმაციით, 2011 წლის ზაფხულში პროპანისა და ბუტანის საბითუმო ფასი ევროპულ ბაზარზე დაახლოებით 800-950 აშშ დოლარი/ტ შეადგენდა¹¹.

ბალკანეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (ბოსნია და ჰერცეგოვინა, ბულგარეთი, ხორვატია, ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, მაკედონია, მონტენეგრო, პოლონეთი, რუმინეთი, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია) ბაზრებზე LPG საცალო გაყიდვების ფასი საშუალოდ 1620 აშშ დოლარი/ტ შეადგენს¹². მაქსიმალური ფასი ფიქსირდება ესტონეთსა და მონტენეგროში, დაახლოებით 1820 აშშ დოლარი/ტ, მინიმალური კი ლატვიასა და ხორვატიაში, საშუალოდ 1345 აშშ დოლარი/ტ. ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს (IEA) ცნობით¹³ რუსეთიდან და კასპიის

⁹ <http://www.karaganda-region.kz/rus/news rk/56429/> (Постановление Правительства РК, 27.06.2012, № 980); (Рост ефрифов на сжиженный газ в России замедлится вдвое).

¹⁰ www.argusmedia.com LPG World Prices monthly, March, 2011

¹¹ Platts, LPGaswire, July, 2011 Issues

¹² www.golpg.eu, LPG prices across Europe

¹³ IEA Statistics, Oil Information, 2012

რეგიონიდან 2009-2011 წლებში შედარებით დიდი რაოდენობით LPG მიეწოდა ევროკავშირის შემდეგ ქვეყნებს: ჩეხეთს, ესტონეთს, საფრანგეთს, უნგრეთს, იტალიას, ნიდერლანდებს, პოლონეთს, სლოვაკეთსა და სლოვენიას, აგრეთვე, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებს, მათ შორის ნაწილი, საქართველოს რეინიგზისა და პორტების გავლით. LPG საშუალო ფასმა ევროკავშირის აღნიშნული ქვეყნების სატრანსპორტო სექტორის საცალო მომხმარებლებისათვის დაახლოებით 1780 აშშ დოლარი/ტ შეადგინა.

როგორც ანალიზი აჩვენებს, LPG ფასი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, მიუხედავად ძირითად მომწოდებელ ქვეყნებთან მისი სიახლოვისა და, შესაბამისად, სატრანსპორტო დანახარჯების სიმცირისა, მსოფლიოს სხვა მომხმარებელი რეგიონების ქვეყნებთან შედარებით. სავარაუდოა, რომ ფასების ასეთი ზრდა განპირობებულია არაკონკურენტული ბაზრის ან მოწოდების ორგანიზაციის არარაციონალური დაგეგმვისა და მენეჯმენტის გამო. LPG ფასების დარეგულირება კონკურენციის უზრუნველყოფითა და მოწოდების სწორი ორგანიზაციის დაგეგმვის ხელშეწყობით სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად და პასუხისმგებლობად რჩება, მიუხედავად შესაბამისი ბაზრის დერეგულირებისა¹⁴. ამასთან ერთად, მთიანი და ძნელად მისადგომი რეგიონებისათვის სათბობის მისაწოდებლად განკუთვნილი სატრანსპორტო გაზსადენების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო დანახარჯები, LPG მიწოდების სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იქნეს მოსახლეობის სუბსიდირებისათვის, ბრაზილიის მსგავსად, სადაც სოციალურად დაუცველ მომხმარებლებს სახელმწიფო აფინანსებს სპეციალურად LPG შესაძენი დახმარების ფონდიდან¹⁵.

13.2. ენერგოეფექტურობა

საქართველოში ჯერ კიდევ დაბალია ენერგოეფექტურობის პოტენციალის რეალიზაციის ხელშეწყობი ღონისძიებების დაგეგმვის, საკანონმდებლო და ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმების ქმედითობა. ამავე დროს, ამ მიმართულებით ჩამორჩენის აღმოფხვრა ევროპის განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებთან შედარებით, ენერჯის დაზოგვისა და ადგილობრივი პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ამაღლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს (როგორც ცნობილია, ზოგადად, დანახარჯი ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებაზე უზრუნველყოფს დაზოგილი რესურსის ღირებულების დაახლოებით 25%-ის ღირებულების ეკონომიას¹⁶). შესაბამისად, ენერგოეფექტური საოჯახო მოხმარების ნივთებისა და გათბობის სისტემების დანერგვით, თბოიზოლაციის სავალდებულო სამშენებლო ნორმების შემოღებით საყოფაცხოვრებო და კომერციულ სექტორებში¹⁷ შეიძლება გაზის მოხმარების მნიშვნელოვანი (დაახლოებით 40 %-მდე) შემცირება იქნეს უზრუნველყოფილი.

¹⁴ გ.მუხიგულაშვილი, მ.მარგველაშვილი, კონკურენცია და მონოპოლია შიგა ენერგეტიკულ ბაზარზე

¹⁵ წყარო: Liquefied Petroleum Gas, http://en.wikipedia.org/wiki/Liquefied_petroleum_gas

¹⁶ Energy Strategy of the Energy Community, 2012

¹⁷ გ.სადალაშვილი, მ.სადალაშვილი. საცხოვრებელი შენობების თბოტექნიკური მაჩვენებლების კავშირი საქართველოს ენერგეტიკულ პრობლემებთან, თბილისი, 2008

1.3.3. განახლებადი რესურსები

საქართველო მდიდარია არატრადიციული, განახლებადი ენერგეტიკული რესურსებით. მათი ფართო მასშტაბიანი ათვისების უმთავრეს სტიმულატორს წარმოადგენს წიაღისეული სათბობის, ძირითადად, იმპორტირებული გაზის გამოყენების მნიშვნელოვანი შემცირება.

ქვეყანაში დღემდე პრაქტიკულად აუთვისებელია ქარის ენერგოპოტენციალი. წინასწარი შეფასებები აჩვენებს, რომ ქარის ენერჯის პოტენციალის ათვისების შემთხვევაში მხოლოდ ყველაზე პერსპექტიულ უბნებზე (რიონისა და მტკვრის აუზები, მთა საბუეთი, ფარაენის ტბა და ა.შ.) შესაძლებელია დაახლოებით 2000 მგვტ-მდე დადგმული სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების მოწყობა. ამასთან, ქარის ენერჯის გამოყენება, რომელიც კლიმატურ პირობებთან დაკავშირებული არასტაბილურობით ხასიათდება, აუცილებლად მოითხოვს ენერჯის წარმოების დუბლირებას. ევროპული გამოცდილება აჩვენებს, რომ ქარის ენერჯის დარეზერვება გაზით წარმოებული ელენერჯით წარმოადგენს ყველაზე ეკონომიურ და მოქნილ საშუალებას.¹⁸ ასეთი კომბინაცია საშუალებას იძლევა დაიზოგოს ძვირადღირებული სათბობი წლის ყველაზე კრიტიკულ პერიოდში, რადგან ქარის ძირითადი პოტენციალი ზამთრის თვეებში რეალიზდება. საქართველოს პირობებში ქარის ენერგეტიკა მიმზიდველია სხვა კუთხითაც, მას შეუძლია ჩაანაცვლოს ჰესებზე გენერირებული ელენერჯის დეფიციტი ზამთრის სეზონში, როდესაც ჰესები წყლის რესურსების დეფიციტს განიცდიან, ხოლო ელექტროენერჯიაზე მოთხოვნა მაქსიმალურია.

საქართველოს ტერიტორიაზე აღრიცხულია გეოთერმული წყლის 250-მდე ბუნებრივი და ხელოვნური (ჭაბურღილებიდან მიღებული) წყარო¹⁹. შეფასების თანახმად თბილისის, კინდლა-მოქვი-ოზურგეთის, ზუგდიდი-ცაიშის, ხობის, ქვალონის, ვანის, სამტრედიის დაძიებული საბადოებისათვის, თერმული წყლებიდან მიღებული სითბოს ღირებულება უფრო ნაკლებია ვიდრე ტრადიციული, ბუნებრივი გაზის წვით მიღებული სითბოს ღირებულება²⁰.

საქართველოს უმეტეს ტერიტორიაზე მზის წლიური ნათება 1800-2600 სთ-ს შორის, რადიაციის სიდიდე კი რეგიონების მიხედვით 1250-1800 კვტს/მ² დიაპაზონში ცვალებადობს. მზის ენერჯის გამოყენება განსაკუთრებით ხელსაყრელია კოლექტორული კონცენტრატორების გამოყენებით დაბალი პოტენციალის სითბოს (<100 °C) წარმოებისათვის, მათ შორის პირველ ყოვლისა საცხოვრებელი, სამრეწველო და საკურორტო-რეკრეაციული ზონების ცხელწყალმომარაგებისათვის, აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქტების თერმული გადამუშავების სისტემებისათვის, ზაფხულის სეზონური დატვირთვის გათვალისწინებით, რაც მნიშვნელოვანი როლდენობის ბუნებრივი აირის დაზოგვას უზრუნველყოფს.

ბიომასა, კერძოდ, შეშა, ფართოდ გამოიყენება სასოფლო რეგიონებში გათბობისა და სხვა საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის. აუცილებელია შემუშავდეს შეშის მაღალეფექტური უტილიზაციის ტექნოლოგიების რეალიზაციის ხელშემწყობი საკანონმდებლო და ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებები, მათ

¹⁸ Check against delivery. Industry Advisory Panel Communication to the Energy Charter Conference (Draft), Brussels, October, 2012

¹⁹ G.Buachidze, O. Vardigorelli, N.Tsertsvadze. Country Update from Georgia. Proceedings World Geothermal Congress 2000, Tokyo, 2000 and Thermal Waters of Georgia, Georgian Geothermal Association, 1998

²⁰ Georgia. II National Report for Climate Change Convention, Tbilisi, 2008

შორის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების თანამონაწილეობით.²¹ გარდა შემისა, სასოფლო რეგიონების მაცხოვრებელთა სათბობით ნაწილობრივი უზრუნველყოფისათვის, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნარჩენი ბიომასის გადამუშავებით მიღებული დაბალკალორიული ბიოგაზი.

ბიომასის გადამუშავებისა და შემის გამოყენების თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიების იმპლემენტაციით, აგრეთვე სხვა არატრადიციული განახლებადი ენერგორესურსების გამოყენებით შეიძლება უახლოეს რამდენიმე წელიწადში, დამატებით დაახლოებით 70-100 მლნ მ³/წ იმპორტული ბუნებრივი აირი დაიზოგოს და გადაიჭრას ტყის უკონტროლო ჩეხვასთან დაკავშირებული მწვავე ეკოლოგიური პრობლემები. ევროკავშირის რეკომენდაციით, საქართველომ უნდა უზრუნველყოს ენერგოეფექტურობის ღონისძიებებისა და არატრადიციული განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენება, სადაც ეს მიზანშეწონილია და შესაბამისი პოლიტიკის განხორციელება²².

განახლებადი ენერგეტიკის არატრადიციული რესურსების ათვისებისა და ენერგოდამზოგ ღონისძიებათა რეალიზაციის პროტექციონისტული სახელმწიფო პოლიტიკა საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული მეთოდია. ასეთი პოლიტიკა, აგრეთვე შესაფერის პირობებში ბუნებრივი გაზის ალტერნატიული სათბობით ჩანაცვლების სწორი დაგეგმვა და უზრუნველყოფა, არსებული პოტენციალისა და საერთაშორისო ტენდენციების გათვალისწინებით, სახელმწიფოს ფინანსური დანახარჯების მინიმიზაციისა და სათბობი რესურსების, კერძოდ, ძვირადღირებული იმპორტული ბუნებრივი გაზის, მნიშვნელოვანი დაზოგვის საშუალებას იძლევა.

14. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა

ენერგეტიკული უსაფრთხოების ძირითადი პრინციპები რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით ითვალისწინებს:

- ენერგეტიკული რესურსების საგანგებო (სახელმწიფოს ან ინდუსტრიის კუთვნილი) რეზერვების არსებობას²³;
- მოწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციას;
- ახალი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, მათ შორის სხვადასხვა სისტემის დამაკავშირებელი მილსადენების (ინტერკონექტორების), მშენებლობას;
- წინასწარ შეთანხმებულ უწყვეტი მომარაგების კონტრაქტებს მომწოდებელთან, სოციალურად მოწვევადი მომხმარებლების გაზომარაგებისთვის;
- ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს კრიზისულ სიტუაციაში სათბობის სახეობების ურთიერთჩანაცვლებას;
- კრიზისულ სიტუაციაზე რეაგირების გეგმის მომზადებასა და აღსრულების უზრუნველყოფას (საჭიროების შემთხვევაში).

ამ პრინციპების რეალიზაციას ხელს უწყობს ლიბერალურ საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა და რეგიონალურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების საიმედოობის ამაღლების სტრატეგიის სწორი დაგეგმვა და შესაბამისი საშუალებების განხორციელება, მათ შორის:

²¹ In-depth review of the energy efficiency policy of Georgia 2010, Energy Charter Protocol – PEERA, Brussels, 2011

²² In-depth review of the energy efficiency policy of Georgia 2010, Energy Charter Protocol – PEERA, Brussels, 2011

²³ საკვლეველთა ევროგაერთიანების მე-3 ენერგეტიკული პაკეტის მოთხოვნების თანახმად

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სისტემური საიმედოობის ამაღლება მაგისტრალური გაზსადენების რეაბილიტაცია-განვითარებისა და მათი ოპერირების საშუალებებისა და მეთოდების მოდერნიზაციის გზით;

- მოწოდების წყაროების დივერსიფიკაცია შესაბამისი ტექნიკური საშუალებების (ტრანსსასაზღვრო მილსადენების და მიმღები პუნქტების) და მომწოდებლებთან გრძელვადიანი კონტრაქტების უზრუნველყოფით;

- შიგა ბაზრის შესაბამისი მომზადება ლიბერალიზაციისათვის და მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისი ადაპტაცია;

- სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების, მათ შორის, სხვადასხვა მიმართულების და მოწოდების სხვადასხვა წყაროების დამაკავშირებელი მილსადენების და მიწისქვეშა გაზსადენების დაგეგმვა, აგრეთვე ენერჯის სახეობების დივერსიფიკაცია ქვეყნის მოშორებული და მაღალმთიანი რეგიონების უზრუნველყოფის მიზნით კომპაქტური და მაღალი ხვედრითი ენერგოტევალების მქონე გაზისა და ნავთობპროდუქტების ტრანსფორმაციის სხვადასხვა პროდუქტებით (LPG, CNG და სხვა) მომარაგება.

აზერბაიჯანის გაზის მზარდი საექსპორტო პოტენციალის და მოწოდების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შესაძლებლობების (იხ. ცხრილი), ჩვენ ქვეყანასთან ენერგეტიკის სფეროში ჩამოყალიბებული სტრატეგიული ურთიერთ თანამშრომლობისა და არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური რეალიების გათვალისწინებით, საქართველოს გაზით მომარაგების პრიორიტეტულ წყაროდ აზერბაიჯანი ითვლება. აზერბაიჯანული შაჰ-დენიზის საბადოს გაზის მიღება საქართველოში წარმოებს სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემის (სმკ), ხოლო სხვა საბადოებზე მოპოვებული, “სოკარის” კუთვნილი გაზის, აზერბაიჯან-საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის მეშვეობით.

აზერბაიჯანის გაზის მოპოვების, ადგილობრივი მოხმარებისა და ექსპორტის პროგნოზი²⁴, მლრდ მ³/წ

წყარო	2012	2015	2017	2020	2025
სოკარი	7	7	7	7	7
ანგ (არსებული)	3	3	3	3	3
ანგ (დრმა პორიზონტი) ²⁵	-	-	-	2 (?)	5-7 (?)
შაჰ დენიზი (I ფაზა)	8	9	9	9	9
შაჰ დენიზი (II ფაზა)	-	-	-	11	16
უმიდი და სხვა	-	1	3	4	5
სულ მოპოვება	18	20	24	34	40
სულ ადგილობრივი მოხმარება	9	9,9	10,4	11,4	13,2
სულ ექსპორტი	9	10,1	13,6	22,6	26,8
ექსპორტი საქართველოს გავლით	4,5	6	8 (9?)	16 (20?)	22 (27?)

მნიშვნელოვანი სატრანზიტო პროექტებისა და მეზობელ ქვეყნებთან ენერგეტიკული კავშირების აღდგენა-განვითარების ხელშეწყობა, პარალელურად მოწოდების წყაროებისა და მარშრუტების მიხედვით საქართველოს ენერგეტიკული რესურსებით მომარაგების დივერსიფიკაციასაც უზრუნველყოფს.

²⁴ AGRI Feasibility Study, Progress Meeting Presentation by Penspen Group, September 22, 2012 with consideration of SOCAR’s Comments by 17.10.2012

²⁵ BP-ს ინფორმაციით კასპიის ნავთობისა და გაზის VI სავაჭრო-სატრანსპორტო კონფერენციაზე (ბაქო, ოქტომბერი, 2012 წ.), მიმდინარეობს მოლაპარაკებები ამ, აგრეთვე “აფშერონის” საბადოდან გაზის მოპოვების დაწყების შესახებ 2020 წლიდან. წყარო: <http://www.trend.az/capital/energy/2077577.html>

ჩამოყალიბებულია მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორები ნავთობისა და გაზის ახალი სატრანზიტო მაგისტრალების მშენებლობის პროექტების რეალიზაციისათვის საქართველოს ტერიტორიის გავლით. მიმდინარეობს აზერბაიჯანული და ცენტრალური აზიის საბადოების გაზის სამხრეთის ენერგეტიკული კორიდორის მეშვეობით ევროპაში მიწოდების სხვადასხვა ალტერნატიული პროექტის აქტიური განხილვა და დამუშავება, რითაც უზრუნველყოფილ იქნება ევროპული ბაზრის შემდგომი დივერსიფიკაცია და მინიმუმამდე შემცირდება მონოპოლისტი მწარმოებლების შესაძლო რიქტაბის ნეგატიური შედეგები²⁶.

სამხრეთის კორიდორის გავლით (იხ. ნახაზი 5) გათვალისწინებულია აზერბაიჯანული შაჰ დენიზის საბადოს, შემდგომში კი შესაძლოა ცენტრალური აზიის ქვეყნების ბუნებრივი გაზის ბალკანეთში, სამხრეთ და/ან ცენტრალურ ევროპაში მიწოდება საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სამხრეთ კავკასიური გაზსადენის სისტემისა (SCP) და დაგეგმილი მილსადენების (TANAP, NABUCCO WEST, TAP) გამოყენებით²⁷. ამ მარშრუტით თურქმენული გაზის მიწოდებისათვის დაგეგმილია ტრანსკასპიური მილსადენის (TCP) მშენებლობა.



ნახაზი 5. სამხრეთის გაზის კორიდორი

საწყის ეტაპზე გაზის მზარდი საექსპორტო მოცულობები არსებული სამხრეთ კავკასიურ გაზსადენის სისტემის გავლით დაუკავშირდება ამ მილსადენებს, მიწოდების შემდგომი გაზრდის შემდეგ კი იგეგმება აზერბაიჯან-საქართველოს ტერიტორიაზე სისტემის გაფართოება, პარალელური მილსადენისა და დამატებითი საკომპრესო სადგურების მშენებლობის მეშვეობით, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მისი წლიური გამტარუნარიანობის ამჟამინდელი 8-9-დან 22-24 მლრდ მ³-მდე გაზრდა. მმართველი კონსორციუმი გეგმავს სამუშაოების

²⁶ ევროკავშირის დამოკიდებულებამ იმპორტზე ნავთობის შემთხვევაში 90%-ს, ბუნებრივი გაზის შემთხვევაში დაახლოებით 64%-ს, ხოლო ნახშირის შემთხვევაში - 40%-ს მიაღწია

²⁷ T.Gochitashvili, T.Javakhishvili, Oil and Gas Trunk Pipelines, "Meridiani", Tbilisi, 2012

დაწყებას 2013 წლიდან იმ ანგარიშით, რომ შაჰ-დენიზის საბადოს მე-2 ფაზის ათვისების დასრულების მომენტისათვის, მილსადენი მზადყოფნაში იყოს გაზის მზარდი ნაკადების შეუფერხებელი გატარებისათვის.

პროგნოზის მიხედვით (იხ. ცხრილი), შაჰ-დენიზის საბადოს მეორე ფაზის ათვისებისა და სამხრეთის გაზის კორიდორის ამოქმედების შემდეგ, სავარაუდოდ 2018 წლიდან, სამხრეთ კავკასიური გაზსადენიდან ტრანზიტის საფასურად და დამატებით, შედგაოთიანი ტარიფით მიღებული გაზის მოცულობა წლიურად შეიძლება 1300-1600 მლნ მ³-ს გაუტოლდეს.

ერთ-ერთ შესაძლო ვარიანტად განიხილება, აგრეთვე, აზერბაიჯანული გაზის ევროპულ ბაზარზე მიწოდება აზერბაიჯან-საქართველო-რუმინეთის ინტერკონექტორის (AGRI) მეშვეობით, რომელიც ითვალისწინებს შავი ზღვის საქართველოს სანაპიროზე ბუნებრივი გაზის გათხევადების (LNG) ტერმინალის მოწყობას და პროდუქციის ტრანსპორტირებას ტანკერებით რუმინეთის სანაპირომდე, სადაც მოეწყობა მიღება-რეგაზიფიკაციისა და განაწილების სისტემები. AGRI LNG პროექტის რეალიზაციისათვის საქართველოს ტერიტორიაზე იგეგმება სკმ-ის საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემასთან დამაკავშირებელი ახალი მიმღები კვანძისა და მაგისტრალური გაზსადენების დასავლეთის განშტოებასთან დამაკავშირებელი ვალე-ვანის მაღალწნევიანი მილსადენის (ინტერკონექტორის) მშენებლობა, ან არსებული აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალური მილსადენის გამოყენება, რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის შემდეგ აზერბაიჯანის საზღვრიდან საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე განლაგებული გაზის გათხევადების საწარმომდე.

აღსანიშნავია, რომ ევროკომისიის მიერ შეთავაზებული რეგულაციით COM(2011)658 განსაზღვრულია ევროკავშირის სამომავლო პრიორიტეტული პროექტები, რომელთა შორის შეტანილია როგორც სამხრეთის გაზის კორიდორის, ისე ჩრდილოეთ-სამხრეთის დამაკავშირებელი ინფრასტრუქტურის პროექტები ცენტრალურ აღმოსავლეთ და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებში, მათ შორის AGRI LNG ტერმინალი შავი ზღვის სანაპიროზე და AGRI-ს ევროკავშირის რეგიონული ინტერკონექტორი რუმინული კონსტანციდან უნგრეთის საზღვრამდე²⁸.

ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალური გაზსადენით (NSGP) ხორციელდება რუსული გაზის ტრანზიტი სომხეთის მიმართულებით. გაზსადენის ოპერირებას საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია ახორციელებს. 2007-2010 წლებში შესრულდა გაზსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის ფონდის დაფინანსებით. რეაბილიტაციის შედეგად გაიზარდა სისტემის ფუნქციონირების საიმედოობა და მინიმუმამდე შემცირდა გაზის ტექნიკური დანაკარგები. ასევე, რეაბილიტაციის შედეგად გაზსადენის გამტარუნარიანობა წელიწადში 5 მილიარდი მ³-იდან დაახლოებით 8 მილიარდ მ³-მდე გაიზარდა. 2011 წელს მილსადენით სომხეთს ტრანზიტით მიეწოდა 1,609 მლნ მ³ გაზი, 2012 წლის პროგნოზით გათვალისწინებულია კრიზისამდელი მოცულობის, დაახლოებით 2 მლრდ მ³, გაზის მიწოდება.

დაწყებულია საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის ეტაპობრივი აღდგენა-განვითარების სამუშაოები. დასრულებულია გარდაბანი-ნავთლუდის, ნავთლუდი-საგურამოსა და სენაკი-ფოთის მონაკვეთების მშენებლობა. მიმდინარეობს ახალი, დაახლოებით 76 კმ სიგრძის მილსადენის მშენებლობა ქუთაისიდან ბაღდათის, ვანისა და აბაშის მუნიციპალიტეტების გავლით სენაკის

²⁸ http://ec.europa.eu/infrastructure/consultations/20120620_infrastructue_plan_en.htm

მიმართულებით. ახალი მონაკვეთების მშენებლობა ხელს შეუწყობს დასავლეთ საქართველოს რეგიონების, ქალაქ ფოთისა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონისა და შავი ზღვისპირეთის საკურორტო-რეკრეაციული ზონების უწყვეტ გაზომმარაგებას ბუნებრივი გაზით.

დაგეგმილია საგურამო-ქუთაისის მაგისტრალური გაზსადენის დაახლოებით 200 კმ სიგრძის მონაკვეთის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამუშაოების შესრულება, რაც ითვალისწინებს მთელ სიგრძეზე მაღალწნევიანი (55 ბარი საპროექტო წნევით) 700 მმ დიამეტრის მილსადენების გამოყენებას (არსებული 500 მმ-იანი სექციების ჩანაცვლებას). მილსადენი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ და ქვეყნის დასავლეთი რეგიონების გაზომმარაგების ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. მონაკვეთის რეკონსტრუქცია ეტაპობრივად განხორციელდება. უკვე მომზადებულია ზესტაფონი-ქუთაისისა და საგურამო-ვაყას მონაკვეთების ნაწილის (სულ 72 კმ) პროექტები.

შესრულებულია წინასწარი სამუშაოები ტაბაწყური-ბაკურიანის შემკვრელისა და კახეთის რგოლური გაზომმარაგების სისტემის რუსთავი-საგარეჯოს მწყობრიდან გამოსული მონაკვეთის დაპროექტება-მშენებლობისათვის.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულების აღდგენა-განვითარების, ისევე როგორც ვალე-ვანისა და სხვა დაგეგმილი შემკრავების (ინტერკონექტორების) პროექტების რეალიზაცია საფუძველს ჩაუყრის საქართველოს გაზომმარაგების სისტემის ჩიხური არქიტექტურის შეცვლას მაღალი საიმედოობის წრიული (რგოლური) გაზომმარაგებით, რაც კრიტიკულ სიტუაციებში გაზის ნაკადების გადამისამართების საშუალებას იძლევა ნებისმიერი მომხმარებლის გარანტირებული გაზომმარაგების უზრუნველყოფის მიზნით და მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს გაზომმარაგების ერთიანი სისტემის ფუნქციონირების არეალსა და ტექნოლოგიურ საიმედოობას. პროექტების გარემოსდაცვითი ეფექტი მოიცავს საექსპლუატაციო ვადაგასული და დაზიანებული გაზსადენიდან გაუნვების აღკვეთას და საყოფაცხოვრებო სექტორში შემის ჩანაცვლებას გაზით. ამას გარდა, მოსახლეობა მიიღებს ყველაზე დაბალი ხვედრითი ღირებულების სათბობს – ბუნებრივ გაზს, რაც საოჯახო ბიუჯეტის მნიშვნელოვანი დაზოგვისა და სიღარიბის დაძლევის სახელმწიფო პროგრამის რეალიზაციის ერთ-ერთ ხელშემწყობი ფაქტორი შეიძლება გახდეს წარმოების ინტენსიური განვითარების სტიმულაციის ბაზაზე ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებულობის ზრდის მეშვეობით.

2. საპროგნოზო შეფასებები

2.3. მოთხოვნის პროგნოზი

საქართველოს მოთხოვნა პირველად ენერგეტიკულ რესურსებზე დღეისათვის ძირითადად იმპორტით არის დაბალანსებული, თუმცა მდიდარი ჰიდრო- და განახლებადი ენერგეტიკული რესურსების არსებობა, აგრეთვე წიაღისეული ნახშირის, ნავთობისა და გაზის საბადოების ძებნა-ძიებისა და განვითარების გარკვეული პერსპექტივები, სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტებზე ორიენტირებული ენერგეტიკის განვითარების ტენდენციის გათვალისწინებით, ახლო მომავალში ამ მდგომარეობის ნაწილობრივი გაუმჯობესების საფუძველი შეიძლება გახდეს.

ზოგადად მოთხოვნა ენერგეტიკულ რესურსებზე კორელაციურ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობასთან, ამასთან, მასზე მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ენერგომომარების ხვედრითი ინტენსივობა წარმოებული პროდუქციის ერთეულზე და მოხმარების სტრუქტურა, აგრეთვე, მოსახლეობის რიცხოვნობის ცვალებადობის ტენდენცია, მობილურობა და ა.შ. ქვემოთ შემოთავაზებულია ენერგეტიკული რესურსების მოხმარების პროგნოზი საქართველოში, რომელიც დაეფუძნა ენერგეტიკის სამინისტროს პროგნოზებს, ასევე იმ კვლევების შედეგებს, რომლებიც დაფინანსებული იყო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID)²⁹, MCG³⁰ და OECD³¹ მიერ.

ანალიზისას გათვალისწინებულია მშპ-ს ზრდის საპროგნოზო ტემპი ქვეყანაში წლიური 6 %-ის დონეზე, რაც საერთაშორისო საავალუტო ფონდის მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება შეფასდეს, როგორც ფაქტობრივი ზრდის (საშუალო წლიური 5-7% უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში)³² კონსერვატული ასახვა. პირველად ენერგორესურსებზე მოთხოვნილების დაგეგმილი საშუალო ზრდის ტემპები განისაზღვრა მოხმარების ხვედრითი ინტენსივობის შემცირების (ენერგოეფექტურობის დაახლოებით 40%-ით ზრდის) ტენდენციის მხედველობაში მიღებით და მშპ-სთან ზრდასთან 0,6 კორელაციის კოეფიციენტის გათვალისწინებით, შესაბამისად (აღსანიშნავია, რომ ენერგომომარების დაგეგმილი წლიური 3,6 %-იანი ზრდა ადეკვატურად ასახავს ბოლო წლების (2006-2011) ტენდენციას ელექტროენერგეტიკაში, როცა მოხმარება 2007 წლის 7,8 მლრდ კვტსთ-დან 2011 წლისათვის დაახლოებით 9,2 მლრდ კვტსთ-მდე გაიზარდა).

პროგნოზის თანახმად, ქვეყნის ჯამური მოთხოვნა პირველად ენერგეტიკულ რესურსებზე მიმდინარე ათწლეულში დაახლოებით 7 მლნ ტნე-მდე გაიზარდება (იხილეთ ნახაზი).

გაზის მოხმარების პროგნოზის დაზუსტებისათვის, გამოყენებულია, აგრეთვე, ანალიზის ე.წ. “ქვემოდან ზემოთ” მეთოდოლოგია, რაც მომხმარებელი სექტორების საპროგნოზო მოთხოვნის საფუძველზე განსაზღვრავს სავარაუდო ჯამურ მოთხოვნას. ასეთი ანალიზის დროს დამატებით გათვალისწინებულ იქნა, აგრეთვე, მრეწველობის, მათ შორის თავისუფალი ინდუსტრიული ზონებისა და მშენებარე კარბამიდის ქარხნის დაგეგმილი მოთხოვნა გაზზე. ჯამური მოხმარების ბალანსში არ იქნა გათვალისწინებული სათბობზე მოთხოვნა საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული სატრანზიტო ნავთობ- და გაზსადენების მომსახურე სატუმბი და


²⁹ Natural gas strategy for Georgia, Part 1: Analyses and proposals, and Part 2: Economic and geopolitical context, USAID, 2006

³⁰ UGS Preconstruction design Study, Option Study, RAMBOLL, 2010

³¹ Regional Power Transmission Extension Plan for Caucasus Countries

³² Georgia's Hydropower Potential, BoG, June 28, 2012

დაგეგმილი საკომპრესორო სადგურებისა და ბუნებრივი გაზის გამათხევადებელი საწარმოს (AGRILNG პროექტის ფარგლებში) მიერ.



ნახაზი 6. პირველადი ენერგორესურსების მოთხოვნის ზრდის პროგნოზი, ათასი ტნე (გაზზე მოთხოვნის ინტენსიური ზრდის სცენარი)

სავარაუდოდ, წიაღისეული რესურსების დომინირებული წილი მთლიან ენერგეტიკულ ბალანსში, მათ შორის გაზის დაახლოებით 30-33 %-ის დონეზე, მომავალშიც შენარჩუნდება, თუმცა მნიშვნელოვნად გაიზრდება მოხმარების რაოდენობრივი მაჩვენებლები, რასაც ხელს უწყობს ბუნებრივი აირის შედარებით სიახვე, ეკოლოგიური სისუფთავე და მოხმარების სიმარტივე ყველა სხვა ხელმისაწვდომ პირველად ენერგორესურსთან შედარებით. გაზის შედარებით სიახვე საქართველოში ევროპის ქვეყნებთან შედარებით განსაზღვრულია მოწოდების წყაროების სიახლოვით და ეს ტენდენცია მომავალშიც იქნება შენარჩუნებული, რაც ხელს შეუწყობს გაზზე მოთხოვნის პერმანენტულ ზრდას.

პროგნოზირების დროს გათვალისწინებულია ხელსაყრელი წინაპირობების არსებობა წარმოებული ჭარბი პიკური ელენერჯიის ექსპორტისათვის გაზაფხულ-ზაფხულის წყალუხვობის პერიოდში, ერთი მხრივ, და სისტემის დაგეგმილი ინტეგრირებით ერთიან რეგიონულ ენერგომომარაგების სისტემებში, მეორე მხრივ. ზამთარში ელენერჯიის დეფიციტის შევსებისათვის კი, წლიური გენერაციის დაახლოებით 15-20 %-ს ფარგლებში, ელენერჯია შეიძლება თბოელექტროსადგურებზე გაზით იქნეს წარმოებული. შესაბამისად, გაზის მოხმარება ელექტროგენერაციის სექტორში 2020-2021 წლებისათვის, მათ შორის ახლად ასაშენებელ სარეზერვო გაზტურბინ(ებ)აზე, დაახლოებით 650-700 მლნ მპ-ს გაუტოლდება.

რეგიონების გაზიფიკაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სადისტრიბუციო ქსელების განვითარება და მოხმარებელთა რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა გაზის მოხმარების ზრდას განაპირობებს საყოფაცხოვრებო სექტორში. არსებული ინფორმაციით, ახალი აბონენტების რაოდენობა 2021-2025 წლებისათვის დაახლოებით 300 ათასს გაუტოლდება. ასევე, სარწმუნოდ უნდა

ჩაითვალოს “რამბოლლის” შეფასება³³ აბონენტთა რაოდენობის ზრდის შესახებ 2013-2025 წლებში წლიურად დაახლოებით 1 %-ით, საქრთველოს პრაქტიკის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, აგრეთვე მომხმარებელთა მიერ გაზის მოხმარების ბუნებრივი ზრდის ტემპის გათვალისწინებით, დადგენილია, რომ გაზის მოხმარება საქრთველოს საყოფაცხოვრებო სექტორში 2010 წლის 445 მლნ მ³-დან 2020-2021 წლებისათვის მინიმუმ 800 მლნ მ³-მდე გაიზრდება. უფრო კონსერვატიულია სნგკ-ს 2012 წლის შეფასება, რომელიც 2016 წლამდე საყოფაცხოვრებო მოხმარების წლიურად 2 %-ით, შემდგომში კი 1,5 %-ით ზრდას ითვალისწინებს. შედეგად, 2020 წლისათვის პროგნოზირებული მოხმარება დაახლოებით 600-650 მლნ მ³-ს გაუტოლდება.

გაზის მოხმარების პროგნოზი სამრეწველო და კომერციულ სექტორში ეფუძნება შემდეგ მოსაზრებებს:


- სექტორის მოთხოვნა გაზზე გაიზრდება მშპ-ის ზრდის ტემპის შესაბამისად;
- გაზის ფასი საქრთველოში ევროპულ ფასებზე დაბალ დონეზე შენარჩუნდება, რაც დამატებით საფუძველს შექმნის კონკურენტუნარიანი ადგილობრივი პროდუქციის წარმოებისათვის;
- მრეწველობის აღდგენა და თავისუფალი ინდუსტრიული ზონების განვითარება ხელშემწყობი ფაქტორი იქნება გაზის მოხმარების ზრდისათვის;
- მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება წარმოების ენერგოეფექტურობა, რომელიც ამჟამად შედარებით დაბალია, ვიდრე განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებში;
- უზრუნველყოფილი იქნება ალტერნატიულ წიაღისეულ სათბობთან (ქვანახშირი, ნავთობი) შედარებით გაზის უპირატესი მოხმარება მისი ფარდობითი ეკოლოგიური უსაფრთხოების გამო.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დადგენილია, რომ მიმდინარე ათწლეულის განმავლობაში, გაზის მოხმარება ქვეყნის სამრეწველო სექტორში, ახალი, მსხვილი ინდუსტრიული სიმძლავრეების მოთხოვნის გარეშე, გაიზრდება დაახლოებით 900 მლნ მ³-მდე/წ-ში. სნგკ-ს შეფასება, თავისუფალი ინდუსტრიული ზონების სავარაუდო მოხმარების გათვალისწინების გარეშე, პრაქტიკულად ემთხვევა ამ პროგნოზს და დაახლოებით 1000 მლნ მ³-ს შეადგენს.

შესაბამისად, საქრთველოში გაზის მოთხოვნა-მოხმარება 2006-2010 წლების საშუალო 1.6 მლრდ მ³-დან, 2020-2021 წლებისათვის დაახლოებით 2,4-3,1 მლრდ მ³-მდე შეიძლება გაიზარდოს (იხ. ნახაზი).

პროგნოზირებული მოთხოვნის გარანტირებული დაკმაყოფილებისა და ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის, ენერგეტიკისა და საყოფაცხოვრებო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის რეგიონულ სისტემებში ინტეგრირებული და ლიბერალური, კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების პირობებში, საჭირო იქნება როგორც მოწოდების დივერსიფიკაციის, ისე შესაბამისი ტრანსპორტირება-განაწილებისა და დამარაგების ინფრასტრუქტურის განვითარება, აგრეთვე შესაბამისი ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება მთლიანად ენერგეტიკასა და მათ შორის გაზის სექტორში.

³³ UGS Preconstruction design Study, Option Study, RAMBOLL, 2011



ნახაზი 7. მოთხოვნა ბუნებრივ გაზზე (მლნ მ³/წ) განვითარების სხვადასხვა სცენარების დროს

2.4. მოწოდების წყაროები


აზერბაიჯანული, შაჰ-დენიზის საბადოს გაზის მიღება საქართველოში უზრუნველყოფილია მმართველ კონსორციუმთან ხელმოწერილი გრძელვადიანი კონტრაქტების საფუძველზე, რომლის თანახმად ქვეყანას შეუძლია მიიღოს ტრანზიტის სანაცვლოდ მილსადენში გატარებული გაზის მოცულობის პროპორციული გაზი ნატურის სახით (ან შესაბამისი ფულადი ანაზღაურება) და შედაგათიან ფასად მოწოდებული დამატებითი გაზი.

სამხრეთ კავკასიის მილსადენით შაჰ-დენიზის ბუნებრივი გაზის მოწოდების პირობები განისაზღვრება ოპციური გაზის (2067 წლამდე) და დამატებითი გაზის (2026 წლამდე) ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებებით, რომლებიც გაფორმებულია გაზის მოწოდებისათვის შექმნილ შესაბამის კომპანიებსა (SCP Option Co და AGSC) და სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციას“ შორის.

პროგნოზის თანახმად, ოპციური და დამატებითი გაზის მოცულობები მნიშვნელოვნად გაიზრდება შაჰ დენიზის საბადოს II ფაზის ათვისების შემდეგ 1300, შემდეგ კი შესაძლოა 1600 მლნ მ³-მდე წელიწადში.

აზერბაიჯანთან შეთანხმებული სამთავრობო მემორანდუმითა და მის საფუძველზე ნავთობის ეროვნულ კომპანიებს შორის (სნგკ და "სოკარს") შორის ხელმოწერილი გრძელვადიანი, სტრატეგიული მნიშვნელობის კომერციული ხელშეკრულებით უზრუნველყოფილია შაჰ დენიზის საბადოდან მიღებულ გაზთან ერთად დამატებით საჭირო რაოდენობის გაზის გარანტირებული მოწოდება სოციალური თვალსაზრისით მოწვევადი მომხმარებლისათვის (საყოფაცხოვრებო სექტორი და ენერჯეტიკა), სტაბილური ტარიფების შენარჩუნების პირობით, მთელი მიმდინარე დეკადის განმავლობაში. კონტრაქტის პირობები უზრუნველყოფს დღეისათვის პრობლემური, გაზის მოწოდებასა და მოხმარებას შორის მკვეთრი სეზონური განსხვავების დაბალანსებას, რაც განპირობებულია გაზსაცავის არარსებობით საქართველოში. გათვალისწინებულია, აგრეთვე, აზერბაიჯანიდან გაზის დამატებითი მოცულობის იმპორტის პირობები კომერციული სექტორის სათანადო მოთხოვნის არსებობის დროს. საპროგნოზო შეფასებების თანახმად, აზერბაიჯანიდან მიღებული გაზის ჯამური მოცულობები (შაჰ დენიზის გაზის გარეშე და "სოკარის" კუთვნილი კარბადიმის საწარმოს მოთხოვნის

გაუთვალისწინებლად) სტაბილურ, დაახლოებით 1100 მლნ მ³/წ, დონეზე შენარჩუნდება, თითქმის მთელი დეკადის განმავლობაში, მნიშვნელოვანი კლების ტენდენციით შპს დენიზის ათვისების II ფაზის რეალიზაციის შემდეგ (იხილეთ ნახაზი).



ნახაზი 8. გაზის იმპორტის საპროგნოზო მოცულობები მოწოდების წყაროების მიხედვით, მლნ მ³/წ

ჩრდილოეთ-სამხრეთის გაზსადენის ოპერატორი „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანია“, რუსულ გაზექსპორტთან („გაზპრომის“ შვილობილი კომპანია) დადებული ხელშეკრულებით ყოველწლიურად იღებს რუსეთიდან სომხეთის მიმართულებით ბუნებრივი გაზის ტრანზიტისათვის გაწეული მომსახურების საფასურს ნატურით. პროგნოზის თანახმად, განსახილველ პერიოდში, რუსული გაზის ტრანზიტის საფასურად მიღებული გაზის მოცულობა სტაბილურად შენარჩუნდება, საშუალოდ 200 მლნ მ³/წ დონეზე.

გარდა ამისა, შესაძლებელია რუსული გაზის ექსპორტი საბაზრო ფასითაც, მაგალითად, კომერციული სექტორის გაუთვალისწინებელი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით ან ფორს-მაჟორულ სიტუაციაში ან ბაზარზე კონკურენციის წახალისების მიზნით. ეს უკანასკნელი შემთხვევა შეიძლება წარმოიშვას ბაზრის დაცვის მიზნით მონოპოლისტი მომწოდებლის დიქტატისაგან, რის საშიშროებაც, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, დგება ბაზრის 1/3-ზე მეტი სეგმენტის გაკონტროლების შემთხვევაში ერთი ეკონომიკური სუბიექტის მიერ. როგორც ანალიზი აჩვენებს, ასეთი საშიშროება იარსებებს შპს დენიზის საბადოს ათვისების II ფაზის პროექტის რეალიზაციამდე, როცა „სოკარის“ მიერ მოწოდებული გაზის მოცულობა კრიტიკულ მნიშვნელობას გადააჭარბებს. თუმცა რუსული გაზის მეტად მაღალი საბაზრო ღირებულების გამო, აგრეთვე აზერბაიჯანთან დამყარებული სტრატეგიული ურთიერთობების ფონზე, მოკლე და საშუალოვადიან პერსპექტივაში ნაკლებად მოსალოდნელია ჩამოყალიბდეს კომერციული ფასით რუსეთიდან გაზის შემოტანის პოლიტიკური და/ან ეკონომიკური წინაპირობები.

გაზის იმპორტი თეორიულად შეიძლება განხორციელდეს ყაზახეთიდან, თურქმენეთიდან ან ირანიდან, რუსეთის, აზერბაიჯანის ან სომხეთის გავლით. მოწოდების სქემების სირთულისა და შედარებით მაღალი ღირებულების გამო, ზოგ

შემთხვევაში კი რუსეთის მიერ სატრანზიტო მარშრუტის დაბლოკვის გამო (მაგალითად, გაზის მოწოდებისათვის ყაზახეთიდან “ყაზტრანსგაზ თბილისის” საჭიროებისათვის), მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისათვის ამ ქვეყნებიდან გაზის მოწოდების შესაძლებლობა საქართველოს ბაზარზე, ნაშრომში განხილული არაა.

არსებობს საქართველოს ბაზარზე გაზის მოწოდების პოტენციალი, თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით, ადგილობრივ გამოვლენილი რუსთავისა და სამგორი-პატარძული-ნინოწმინდის საბადოებიდანაც.

რუსთავის გაზის საბადოზე გაზშემცველია შუაეოცენური ნალექები, რომლებიც 3300-3600 მ სიღრმეზე არიან განლაგებული. დაძიებული მარაგების ($C_1 + C_2$ კატეგორია) რაოდენობა შეადგენს 6,7 მლრდ მ³-ს.

სამგორი-პატარძული-ნინოწმინდის გაზნავთობის საბადოს ფარგლებში გამოვლენილია 2 გაზის ბუდობი. სამგორის თაღზე გაზშემცველია ქვედაეოცენური ნალექები (სიღრმე 3600-4000 მ), ხოლო ნინოწმინდის თაღზე შუაეოცენურ ნალექებში თავისუფალი გაზი ქმნის ქუდს ნავთობშემცველი ქანების თავზე (სიღრმე 2450-2600 მ). სამგორის თაღზე გაზის მარაგები (C_1) შეადგენს 0.9678 მლრდ მ³-ს, ნინოწმინდაში კი თავისუფალი გაზის მარაგი (2P) 0.4966 მლრდ მ³-ს უტოლდება. ჯამში, ქვეყანაში თავისუფალი გაზის დაძიებული მარაგი (ყოფილი საბჭოური C_1 , C_2 და დასავლური 2P კატეგორიათა ჯამი) 8.166 მლრდ მ³-ს, ხოლო საპროგნოზო რესურსი დაახლოებით 180 მლრდ მ³-ს უტოლდება.

დაძიებული მარაგის წლიური 1% მოპოვების უზრუნველყოფის შემთხვევაში, ქვეყანაში გაზის მოპოვებამ შეიძლება შეადგინოს დაახლოებით 82 მლნ მ³/წ. რეალურად კი, ინვესტიციების ნაკლებობის პირობებში, სალიცენზიო ბლოკების ოპერატორი კომპანიები ძირითადად კონცენტრირებული არიან მოქმედი საბადოებიდან ნარჩენი ნავთობის მოპოვებაზე და არასათანადო ყურადღებას უთმობენ საძიებო და გაზის მარაგების მოპოვების ზრდაზე ორიენტირებული სამუშაოების ჩატარებას. არსებული პროგნოზის თანახმად, გაზის ადგილობრივი მოპოვება, ძირითადად, მოქმედი სამგორი-პატარძული-ნინოწმინდის გაზნავთობის საბადოდან, ამჟამინდელი 10-12 მლნ მ³-დან წელიწადში, 2015-2020 წლებისათვის 25-28 მლნ მ³-მდე შეიძლება გაიზარდოს. ადგილობრივ საბადოებზე მოპოვებული გაზი კომერციულ ფასად იყიდება ბაზარზე აუქციონის მეშვეობით.

არსებობს გარკვეული პერსპექტივები არატრადიციული, ფიქლების გაზის წარმოებისათვის საქართველოში^{34,35}, რაც, პირველ რიგში, დაკავშირებულია კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ქვედა იურას ნაოჭა სისტემასთან. საბოლოო შეფასებისათვის, ცხადია, საჭიროა დეტალური გამოკვლევა გეოლოგიური ინფორმაციის და მოპოვების თანამედროვე ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენების შესაძლებლობების დასადგენად, თანმდევი ეკოლოგიური ეფექტების გათვალისწინებით³⁶. განსახილველ პერიოდში ფიქლიდან გაზის მოპოვების ორგანიზაცია საქართველოში ნაკლებად სავარაუდოა.

³⁴ ი.შეყრილაძე, მ.თევზაძე, უ.ზვიადაძე, საქართველოს ფიქლები სტრატეგიული ენერგორესურსები ხდება, თბილისი, 2009

³⁵ მ.მარგველაშვილი, ფიქლის გაზი –გამოწვევა საქართველოსთვის, GIOGIE 2011, მე-10 საერთაშორისო კონფერენციის მასალები, 2011

³⁶ საქართველოში ფიქლებიდან ნავთობისა და გაზის მოპოვების პერსპექტივების შესწავლა, სნგკ, თბილისი, 2011 (ავტორები: თ.გოჩიტაშვილი, ს.ლუღუშაური, მ.ხუხია, ნ.ბაქრაძე და თ.ლემონჯავა)

2.5. ფასების პროგნოზი

მოთხოვნა ნებისმიერ ენერგეტიკული რესურსზე მიწოდების ტექნიკურ შესაძლებლობებთან ერთად, დამოკიდებულია მომხმარებლისათვის მისი ღირებულების ხელმისაწვდომობაზე, რომელიც თავის მხრივ თვით რესურსისა და მიწოდების მომსახურების ფასების ასახვას უნდა ემსახურობდეს. მოთხოვნა ენერგორესურსებზე განსაზღვრავს ფასების მნიშვნელოვან ცვალებადობას რეგიონების მიხედვით, რაც განსაზღვრულია ადგილობრივი პირობებით, სათბობის სახეობების ურთიერთჩანაცვლების შესაძლებლობით, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობითა და ტექნიკური გამართულობით, ენერჯის უტილიზაციის ტექნოლოგიების ეფექტურობით და ა.შ. გაზის გასაყიდ ფასზე გავლენას ახდენს მისი თბოუნარიანობა და ტრანსპორტირების დანახარჯები, განსაკუთრებით, დიდ მანძილებზე ტრანსპორტირებისას. ამასთან ერთად, თვისებრივად განსხვავებული სიტუაციაა გაზის იმპორტიორ სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებსთვისაც გაზის სამართლიან კომერციულ ფასს ზოგჯერ მომწოდებლის მიერ გაზის პოლიტიკური ზეწოლის ინსტრუმენტად გამოყენების პრეცედენტებიც ემატება, რის გამოც, მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებსა და უკრაინაში რუსული გაზის ფასი უფრო მაღალია, ვიდრე ამ ქვეყნებიდან ბევრად უფრო დაშორებულ ცენტრალური ევროპის, რუსეთის პოლიტიკისადმი ლოიალობით გამორჩეულ ქვეყნებში

აღნიშნულის გამო, ნავთობისაგან განსხვავებით, ბუნებრივი გაზის მეტნაკლებად თანაბარი საბაზრო ფასები თანამედროვე მსოფლიოში არ არსებობს, და იგი მნიშვნელოვანწილად რეგიონული თავისებურებებითაა განპირობებული.

პროგნოზის თანახმად, მიმდინარე დეკადის განმავლობაში გაზის ფასი ევროპის ბაზარზე ისევ შედარებით მაღალი დარჩება³⁷, თუმცა 2016 წლიდან (ძირითადი სცენარისათვის ან 2022 წლის შემდეგ - მაღალი ფასების სცენარისათვის), ბაზრის სრული ლიბერალიზაციისა და კონკურენციის გაზრდის პირობებში, ჩრდილოეთ ამერიკული ბაზრის მსგავსად, გაზის ფასის ნავთობის ფასთან დაკავშირების ამჟამინდელი პრაქტიკა შეიცვლება სპორტული გარიგებებით დადგენილი ფასით³⁸ (დაახლოებით \$(380-400)/1000 მ³ დონეზე) და ეს ტენდენცია სტაბილურად შენარჩუნდება მომავალშიც.

წინასწარი შეფასების დონეზე დამაიმედებლად გამოიყურება საქართველოს ენერგეტიკულ ბაზარზე გაზის საბითუმო³⁹ კომერციული ფასის ცვალებადობის საპროგნოზო დინამიკაც, რასაც ძირითადად განაპირობებს საქართველოს ხელსაყრელი გეოგრაფიული განლაგება მწარმოებელ რეგიონების უშუალო სიახლოვეს ევროპის ძირითადი მომხმარებელი ქვეყნებისაგან განსხვავებით. შესაბამისად, გაზის ფასი ტრადიციულადაც და პერსპექტივაშიც ნაკლები იქნება საერთაშორისო ბაზრის ფასებზე (მინიმუმ 50, როგორც წესი, 70-100 დოლარით, ტრანსპორტირებისა და ტრანზიტის მინიმალური დანახარჯების გამო).

შეფასების მიზნით, მოწოდების შესაძლო ძირითადი წყაროებიდან (რუსული “გაზექსპორტი”, აზერბაიჯანის “სოკარისა” და შაჰდენიზის) საქართველოს გაზის

³⁷ Department of Energy & Climate Change (UK. Gov), Fossil Fuel Price Projections, www.decc.gov.uk, 2011)

³⁸ H.Rodgers, J.Stern, The transition to Hub-Based Pricing in Continental Europe, Oxford Institute for Energy Studies, 2011

³⁹ გასაგები მიზეზების გამო განხილულია მხოლოდ საბითუმო მიწოდების ფასი, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად საბაზრო ურთიერთობებით რეგულირდება. გაზის საცალო მიწოდების ფასი ბოლო. ე.წ. “სოციალური” მომხმარებლებისათვის კი რეგულირებადია და სეწმეკის მიერ დამუშავებული მეთოდოლოგიით განისაზღვრება (იხ. დ. ჩომახიძე, ენერგეტიკის მდგრადი განვითარების რეგულირების პრინციპები. ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2012)

ბაზრის კომერციულ და რეგულირებად სექტორებში იმპორტის მოცულობებისა და საკონტრაქტო ან სავარაუდო საბაზრო ფასების გათვალისწინებით დადგენილ იქნა საშუალოშეწონილი საბითუმო ფასები და საქართველოს (სახელმწიფოს ან სახელმწიფო კომპანიების) პირობითი შემოსავლები.

ბაზარზე გაზის მიწოდების არსებული მოდელი ითვალისწინებს საშუალოდ მიწოდებლების მომსახურებას, “გაზექსპორტთან”, გტკ-სთან, “სოკართან” და მის შვილობილ კომპანიებთან, BP-ის მიერ კონტროლირებად ოპციური გაზისა (Option Co) და აზერბაიჯანის გაზის გაყიდვის (AGSC) კომპანიებთან ამჟამად მოქმედი კონტრაქტების საფუძველზე.

გაზის ბაზარზე პირდაპირი, საშუალოდ კომპანიების გარეშე, მიწოდების ალტერნატიული სცენარის მიხედვით, დეფიციტი ჯამურ მოთხოვნასა და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად რესურსებს შორის (იგულისხმება ტრანზიტის საფასურად და შეღავათიან ფასებში შესყიდული გაზის მოცულობები “გაზექსპორტიდან” და ოპციური გაზისა და აზერბაიჯანის გაზის გაყიდვის კომპანიებიდან), შედარებით ძვირად ღირებული, საბაზრო ფასით შექმნილი გაზით დაბალანსება არის გათვალისწინებული.

ანალიზი აჩვენებს, რომ გაზის საბითუმო მიწოდების დღეისათვის გამოყენებული სქემა, რომელიც შუალედი კომპანიების მომსახურებას ითვალისწინებს ბაზრის დეფიციტის დაბალანსებისათვის, პრაქტიკულად უმნიშვნელო უარყოფით ჯამურ კომერციულ ეფექტს წარმოშობს ალტერნატიული მიწოდების სქემასთან შედარებით. სამაგიეროდ, გრძელვადიანი კონტრაქტის პირობებით უზრუნველყოფილია გაზის გარანტირებული მოწოდება მთელი წლის განმავლობაში და სეზონურ მოწოდებასა და მოთხოვნას შორის წარმოშობილი უთანაბრობის დაბალანსება, რის მიღწევა საკუთარი ძალებით ამჟამად შეუძლებელია გაზსაცავის არაარსებობის გამო.

სოციალური თვალსაზრისით მოწყვლადი მომხმარებლის გაზის რეგულირებად საბოლოო ტარიფში საბითუმო ფასის წილის შემცირება კი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ შეიცვლება ამჟამად არსებული ფასის დანამატი ტრანზიტის საფასურად და შეღავათიან ფასში შესყიდული გაზის მოცულობებზე და ზომიერ მინიმუმამდე იქნება დაყვანილი სახელმწიფოს ან სახელმწიფო კომპანიების შემოსავლები (გონივრული დანახარჯების, მათ შორის საერთაშორისო ვალდებულებების, გათვალისწინებით). წინასწარი გაანგარიშება ადასტურებს ამ გაზით ტარიფის დარეგულირების პოტენციალს, თუმცა ამისათვის უნდა მიღებულ იქნას შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილება (რადგან ასეთი გადაწყვეტილება ნეგატიურად აისახება ქვეყნის ბიუჯეტსა და სექტორში ფუნქციონირებადი სახელმწიფო კომპანიების შემოსავლებზე).

ზოგადად კი, მომავლში, სავარაუდოდ დეკადის დასასრულისათვის, როცა მნიშვნელოვნად გაიზრდება შაჰ დენიზის საბადოს ათვისების II ფაზით გათვალისწინებული მოპოვება, შესაბამისად კი ტრანზიტის მოცულობები საქართველოს გავლით და ქვეყნის სატრანზიტო შემოსავლები, ამასთან საქართველოს შესაძლებლობა ექნება თვითონ განახორცილოს მოთხოვნასა და მიწოდებას შორის წარმოშობილი სეზონური დისბალანსის მენეჯმენტი მიწისქვეშა გაზსაცავის მეშვეობით, სასურველი იქნება კონტრაქტების პირობების გადახედვა, რათა შეცვლილი რეალიების გათვალისწინებით შენარჩუნდეს პარტნიორებს შორის შემოსავლების სამართლიანი გადანაწილების ტენდენცია. კერძოდ, როგორც საერთაშორისო პრაქტიკა აჩვენებს, მიზანშეწონილად უნდა იქნეს მიჩნეული, ტრანზიტის საფასურად და შეღავათიან ფასებში შესყიდული, აგრეთვე, “სოკარის”

(ან სხვა საბითუმო მომწოდებლების) კუთვნილი გაზის პირდაპირი მიწოდება შიგა საცალო ბაზარზე კომერციული ფასით, საშუამავლო აგენტ(ებ)ის გარეშე, სამაგიეროდ კი მნიშვნელოვნად შემცირდეს როგორც გაზის, ისე ელექტროენერჯის ღირებულება მხოლოდ ფაქტობრივად სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ნაწილისათვის (ნაცვლად შედარებით მცირე შეღავათისა ე.წ. “სოციალური”⁴⁰ მომხმარებლების ფართო სპექტრისათვის, რომელთა განსაზღვრის კრიტერიუმი არც არის დასაბუთებული). ასეთ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების პირობები და სახელმწიფო ბიუჯეტისა და სექტორში ფუნქციონირებადი კომპანიების შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა, იმ მომხმარებლის სუბსიდირებიდან გამოთავისუფლებული სახსრებით, რომლებიც არ საჭიროებენ ან არ იმსახურებენ ასეთ შეღავათებს.

⁴⁰ დღევანდელ პირობებში “სოციალური” მომხმარებლისთვის დაწესებული რეგულირებადი ტარიფით გათვალისწინებული შეღავათებით მაქსიმალურ სარგებელს იღებენ საყოფაცხოვრებო სექტორის საშუალო და მაღალი შემოსავლების მქონე ოჯახები და ზოგიერთი, საექსპორტო პროდუქციის მწარმოებელი საწარმო

3. გამოწვევები და პრობლემები

3.1. ენერგეტიკული უსაფრთხოება

საქართველო, ისევე როგორც გარდამავალი ეკონომიკის სხვა ქვეყნები, საჭიროებს იაფ ენერგეტიკულ რესურსებზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, რაც შეიძლება უზრუნველყოფილ იყოს იმპორტულ სათბობზე დამოკიდებულების შემცირებით, ახალი, ენერგიადამზოვი და განახლებადი რესურსების ათვისებაზე დაფუძნებული ტექნოლოგიების გამოყენებით, სექტორის სტრუქტურის შემდგომი მოდერნიზაციით, ბაზრის ლიბერალიზაციითა და რეგიონალურ სტრუქტურებში ინტეგრაციით.

ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და ადგილობრივი რესურსების პრიორიტეტულ გამოყენებაზე დაფუძნებულ ენერგეტიკაზე გადასვლა, პოლიტიკური ნების გარდა, მოითხოვს მნიშვნელოვან დამატებით ინვესტიციებს წარმოების, ტრანსპორტირებისა და შენახვის (სარეზერვუო) ინფრასტრუქტურის სათანადო მოწყობისათვის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ რთული და ძვირადღირებული გარდამავალი პროცესი წარიმართება გლობალური კრიზისით განპირობებული ხელმისაწვდომი კაპიტალის დეფიციტისა და თვით ქვეყნის შიგნით მოსახლეობის მაღალი უმუშევრობისა და ცხოვრების უკიდურესად დაბალი დონის პირობებში, რაც პრიორიტეტს მიანიჭებს სახელმწიფო დაფინანსების, ძირითადად, ამ მიმართულებით მობილიზებას, თუმცა, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს, როგორც ენერგორესურსების ნეტ იმპორტიორი ქვეყნის, ენერგეტიკული პოლიტიკის კვლავ ერთ-ერთ ძირითად მიზნად შენარჩუნდება.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში განხორციელებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო რეფორმების საფუძველზე გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის მოდერნიზაციის მიმართულებით, ეკონომიკის ენერგოტევადობა მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებთან შედარებით ჯერ კიდევ გაცილებით მაღალია, ხოლო ბაზრის სრული ლიბერალიზაციისა და რეგიონულ სისტემებში ინტეგრაციის პროცესი დასრულებული არაა. შედეგად, საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება გარკვეულ სიტუაციებში შეიძლება სახიფათო გამოწვევების წინაშე აღმოჩნდეს, რასაც ხელს უწყობს რეგიონის მყიფე პოლიტიკური სტაბილურობა და გარედან თავსმოხვეული ეკონომიკური საბოტაჟის მაღალი ალბათობაც.

დამოუკიდებელი საქართველოს ენერგეტიკის სტრატეგიული პრიორიტეტები ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში შემუშავდა ევროგაერთიანების "ტასისის" პროგრამის ფარგლებში⁴¹. ქვეყნის იმდროინდელი ეკონომიკური სიტუაცია და მომავალი პოლიტიკური ორიენტაციის ბუნდოვანება განაპირობებდა ბევრ განუზღვრელობას და ართულებდა ენერგეტიკის განვითარების მომავალი ტენდენციების სწორ პროგნოზირებას საშუალო და გრძელვადიანი პერიოდისათვის. რეკომენდებული პოლიტიკა, ძირითადად, არსებული, საბჭოთა პერიოდიდან მემკვიდრეობით მიღებული ენერგეტიკული სისტემის აღდგენაზე იყო ორიენტირებული. გარდა ამისა, ბუნებრივია, მასში ვერ აისახებოდა მომდევნო პერიოდის ის მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები, რაც რეგიონში საერთაშორისო სატრანზიტო პროექტების განვითარებასთან და საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ენერგეტიკული სატრანსპორტო ნაკადების

⁴¹ საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკა, EC TACIS/EGE001, 1995

დომინირებული ჩრდილოეთ-სამხრეთის ვექტორის აღმოსავლეთ-დასავლეთის პრიორიტეტული მიმართულებით ჩანაცვლებასთან იყო დაკავშირებული.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით, 2006 წელს მომზადდა საქართველოს გაზის სექტორის სტრატეგია, რომელშიც ჩამოყალიბებული იყო მიმდინარე პერიოდის ტენდენციები და პრიორიტეტები ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით⁴². ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ქვეყნის უსაფრთხო და ხელმისაწვდომი ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფის პერსპექტივაზე სუფთა კომერციული მეთოდების გამოყენებით, ბაზრის ბუნებრივი გაზით მომარაგების წყაროებზე, ფასებზე, სატრანზიტო მილსადენებზე, სტრატეგიულ საცავსა და სხვა ინფრასტრუქტურაზე, აგრეთვე საქართველოს გაზომომარაგების საიმედოობაზე მოქმედ სხვადასხვა ეკონომიკურ და გეოპოლიტიკურ ფაქტორზე. ხაზგასმულია, რომ რადგან ქვეყანა არის და კვლავაც დარჩება დამოკიდებული ძვირადღირებული იმპორტირებული გაზის მოწოდებაზე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, თავიდან უნდა ავიცილოთ სექტორში მონოპოლისტური სტრუქტურების ჩამოყალიბება ერთი კომპანიის კონტროლის ქვეშ ძირითადი საქმიანობების თავმოყრითა და ინფრასტრუქტურის დაქვემდებარებით ან სტრატეგიული ინფრასტრუქტურის გასხვისებით, აგრეთვე საბაზრო წესების საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციისა და ბაზრის სრული ლიბერალიზაციის მეშვეობით, მაგრამ მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნება კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების წინაპირობები (წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაცია, მოწოდების საიმედოობა და ა.შ.). გარდა ამისა, რეკომენდებულია ადგილობრივი განახლებადი, კერძოდ, უხვი ჰიდრორესურსებით გაზის მაქსიმალური ჩანაცვლება ელექტროენერჯის გენერაციის საჭიროებისათვის.

2006 წელს შემუშავდა და დამტკიცდა სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები⁴³ საქართველოს ენერგეტიკის სექტორისათვის, რომელიც ძირითად მიზნად ისახავდა:

ა) ქვეყნის მრეწველობის, საყოფაცხოვრებო და კომერციული მომხმარებლების უზრუნველყოფას ელექტრული ენერჯით ადგილობრივი ჰიდრორესურსების მაქსიმალური უტილიზაციითა და დასაწყისში ადგილობრივი წარმოებით იმპორტის, მოგვიანებით კი გაზით წარმოებული ელენერჯის ჩანაცვლებით. ამასთან, პირველ ეტაპზე პრიორიტეტულად ჩაითვალა არსებული ინფრასტრუქტურისა და გენერაციის საშუალებების რეაბილიტაცია და ტექნიკური სრულყოფა, ხოლო შემდგომში ახლების მშენებლობა და განვითარება; ბ) იმპორტირებული რესურსების მოწოდების დივერსიფიკაციას; გ) სხვა ადგილობრივი, განახლებადი რესურსების (ქარის, მზის, გეოთერმული) გამოყენების მიზანშეწონილობას და დ) ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის ინტეგრაციას რეგიონულთან, მაკავშირებელი ინფრასტრუქტურის განვითარებით, ბაზრის ლიბერალიზაციით, დერეგულირებითა და გამარტივებული წესების შემოღებით.

“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს” შეფასების თანახმად, დოკუმენტი მხოლოდ მოკლევადიან პოლიტიკას განსაზღვრავს⁴⁴. გარდა ამისა, არ

⁴² Natural Gas Strategy for Georgia, Part I: Analyses and Proposals by Paul Ballonov, Part II: Economic and Geopolitical Context by Teimuraz Gochitashvili, USAID, 2006

⁴³ საქართველოს სახელმწიფო ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები, 2007

არის დადგენილი ქვეყნის ჯამური მოთხოვნა პირველად ენერგეტიკულ რესურსებზე და, შესაბამისად, გაურკვეველი რჩება ალტერნატიული განახლებადი ენერგორესურსებისა და ტრადიციული ბიოსაწვავის (შემა) როლი ენერგეტიკულ ბალანსში. ქვეყანაში არ არსებობს კანონით დადგენილი სტანდარტები ზღვრულად დასაშვები მანე ემისიების შესახებ, რაც ბუნდოვანს ხდის ადგილობრივი ნახშირის გამოყენების პერსპექტივებს ენერგოგენერაციის დროს. დოკუმენტი ზოგადად აღიარებს ენერგოეფექტურობის ამაღლების კრიტიკულ მნიშვნელობას, მაგრამ არ მიიჩნევს ამ საკითხს პრიორიტეტულად და არ გეგმავს ქვეყნის კანონმდებლობაში შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებს.

გარდა ამისა, გლობალური ეკონომიკური კრიზისის, რუსული სამხედრო აგრესიისა და სხვა ხელშემშლელი პირობების გამო, მნიშვნელოვნად შეიზღუდა ინვესტიციების მოზიდვა და ინდუსტრიის აღდგენა-განვითარების გეგმები, რამაც სათბობ რესურსებზე დაგეგმილი მოთხოვნის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია (მაგალითისათვის, 2011 წელს სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებებით დაგეგმილი იყო 3,5 მლრდ მ³, ხოლო გაზის სექტორის სტრატეგიის მიხედვით დაახლოებით 3 მლრდ მ³ გაზის ჯამური მოწოდება საქართველოში, ნაცვლად ფაქტიური 1,8 მლრდ მ³-სა) და, შესაბამისად, არარეალური გახდა ყველა ადრეული საპროგნოზო მანევენბელი, ზოგადად.

გასულ ხუთწლეულში რუსეთთან ურთიერთობების მკვეთრი გაუარესების შემდეგ, სიტუაცია მნიშვნელოვნად გართულდა ქვეყნის ენერგეტიკულ სექტორშიც. კერძოდ, 2006 წლის ზამთრის ყველაზე ცივ პერიოდში 2 ძირითადი მკვებავი გაზსადენისა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის აფეთქებების შემდეგ რუსეთის ტერიტორიაზე, საქართველო უმძიმესი სოციალური და პოლიტიკური კატასტროფის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. გარდა ამისა, საქართველოსათვის რუსეთის მიერ გაზზე სამხრეთ კავკასიაში ყველაზე მაღალი, ე.წ. “პოლიტიკური ფასის” დაწესებით (რაც, როგორც წესი, დაახლოებით 30%-ით უფრო მაღალი იყო სომხეთში მიწოდებულ გაზის ფასთან შედარებით, რომელიც გაზს ჩვენი ტერიტორიის გავლით იღებს და ფასს, ლოგიკურად, ჩვენთან ტრანზიტის საფასურად დატოვებული გაზის ფასიც უნდა დაემატოს), სათბურის პირობები შეექმნა სომხეთში ფუნქციონირებად იმ საწარმოებს, რომლებსაც რუსული კომპანიები განაგებდნენ. ეს კი მკვეთრად ზღუდავდა იმავე პროდუქციის მწარმოებელი მსგავსი ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობას. ასე მაგალითად, იმის გამო, რომ მეზობელი ქვეყნების ცემენტის, მეტალურგიული და ქიმიური ქარხნები და თბოელექტროსადგურები სათბობსა და ნედლეულს (გაზს) გაცილებით იაფად იღებდნენ, საქართველოს სამომხმარებლო ბაზრის დაუშვებლად დიდი სემენტი დაიკავა უცხოური წარმოების პროდუქტმა, ხოლო იმპორტირებული ელენერგიის ფასი უფრო იაფი გახდა საკუთარ თბოსადგურებზე წარმოებულ ელენერგიის ფასთან შედარებით.

ენერგეტიკული რესურსებით ქვეყნის გარანტირებული მომარაგებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების პრობლემების ხელახალი გააზრება და პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმებში რეალური მდგომარეობის ადეკვატური კორექტივების

⁴⁴ Georgia's Energy Policy, Transparency International Georgia, December 17, 2007

შეტანის აუცილებლობა განაპირობა, აგრეთვე, საქართველოში 2008 წლის აგვისტოს რუსულმა აგრესიამ და მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ. მკვეთრად გამოიკვეთა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და პერსპექტიული სატრანზიტო პროექტების რეალიზაციის მიმართულებით წარმოჩენილი დამატებითი რისკები.

სავარაუდოდ, რუსეთი კვლავ შეეცდება გააგრძელოს ენერგორესურსების ტრანზიტის საქართველოზე გამავალი მარშრუტების ბლოკირება, რათა შეინარჩუნოს კასპიის რესურსების ექსპორტიორის პრაქტიკული მონოპოლისტის სტატუსი. ასეთ სიტუაციაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება და შესაბამისი ღონისძიებების ხელშეწყობა ქვეყნის რეგიონულ სტრუქტურებში ინტეგრაციისა და საერთაშორისო სატრანზიტო პროექტებში მაქსიმალური ჩართვის მიზნით, მათ შორის, არსებული საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციის მეშვეობით საერთაშორისო კანონმდებლობასთან ენერგეტიკის სფეროში.

გარდა ამისა, უკანასკნელ პერიოდში მსოფლიო ეკონომიკაში განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის ნახშირწყალბადოვან რესურსებზე ფასების მკვეთრმა ზრდამ, ბუნებრივმა და ტექნოგენურმა კატასტროფებმა და გლობალური დათბობის უარყოფითმა შედეგებმა, მოითხოვა საწარმოო პროცესებისა და კომერციულ-საყოფაცხოვრებო სექტორების გადაუდებელი პერეორიენტაცია ენერგოეფექტურ ტექნოლოგიებსა და ენერგოდამზოვ საშუალებებზე.

მეორე მხრივ, მაღალი ძაბვის გადამცემი, მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ხაზების მშენებლობისა და ენერგოგენერაციის საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის სამუშაოების დასრულებით, ადგილობრივი ჰიდრორესურსების გამოყენებაზე დაფუძნებული ელექტროგენერაციის პროექტების რეალიზაციის დაწყებით, გაზის მოწოდების ალტერნატიული წყაროებისა და მარშრუტების უზრუნველყოფით 2007 წლიდან⁴⁵ და შიგა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებით, მომწოდებლებთან გრძელვადიანი და ხელსაყრელი კონტრაქტების არსებობით, აგრეთვე სათბობი რესურსების სეზონური მოხმარების დაბალანსების აუცილებლობის წარმოშობის გამო, ჩამოყალიბებულია წინაპირობები სტრატეგიის განახლებისა და ღონისძიებათა დაგეგმვისათვის ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით.

ენერგოუსაფრთხოების შესაფასებლად, საერთაშორისო პრაქტიკაში, როგორც წესი ენერგეტიკულ მგრძობელობას (energy vulnerability) მიმართავენ⁴⁶. ენერგეტიკული მგრძობელობა (მოწყველადობა) განისაზღვრება როგორც ქვეყნის ენერგომომარაგების სისტემაზე მოქმედი შესაძლო გარეგანი (ეგზოგენური) მაგნიფაქტორების უარყოფითი ზემოქმედების ხარისხი მოსახლეობის კეთილდღეობაზე და/ან სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ან ინსტიტუტების გამართულ ფუნქციონირებაზე⁴⁷. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ენერგეტიკულ მოწყველადობასა და შესაბამისად ენერგეტიკულ უსაფრთხოებაზე, ზემოქმედი

⁴⁵ აზერბაიჯანიდან გაზის მოწოდება უზრუნველყოფილია შპს დენიზის საბადოდან სამხრეთ კავკასიური მილსადენით, ხოლო სახელმწიფო კომპანია “სოკარის” კუთვნილი საბადოებიდან აზერბაიჯან-საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემით

⁴⁶ Christie, E. “Energy vulnerability and EU-Russia energy relations”, Journal of Contemporary European Research, Vol. 5, No. 2, August 2009, pp. 274-292

⁴⁷ Energy vulnerability defined as “The extent to which adverse exogenous events with respect to country's energy supply system may detrimentally affect the welfare of population and/or integrity of the State, its territory or its institutions” (Christie, E. 2009)

პოტენციური რისკებისა და საფრთხეების განსაზღვრა ზოგადად (იხ. ცხრილი) და, კერძოდ, საქართველოსთვის.

ცხრილი: რისკებისა და საფრთხეების ზოგადი კლასიფიკაცია

	რისკები	საფრთხეები
მოკლევადიანი	მრ1. ავარიები და ბუნებრივი კატასტროფები	მს1. მოწოდების გათიშვა (მოწოდებელი ან ტრანზიტორი ქვეყნის მიერ)
	მრ2. არასაკმარისი სასაწყობო მოცულობები/დასაწყობებელი მარაგი	მს2. ბლოკადა/აკრძალვა (კონკურენტი ან მტრულად განწყობილი ქვეყნის მიერ)
	მრ3. ფასების მკვეთრი ცვლილება მიწოდება-მოსმარების დისბალანსის გამო	მს3. დივერსია/თავდასხმა კრიტიკულ ინფრასტრუქტურულ ობიექტზე
გრძელვადიანი	გრ1. არასაკმარისი ინვესტიცია მოპოვებით ან სატრანსპორტო ბიზნესში	გს1. სტრატეგიული ენერგეტიკული აქტივების გადაცემა უცხო ქვეყნისთვის
	გრ2. არამდგრადი მოთხოვნა იმპორტიორ და/ან ექსპორტიორ ქვეყანაში	გს2. სარისკო დათმობები (შეთანხმებები) უცხოელ პარტნიორებთან
	გრ3. არასაკმარისი მარაგი ექსპორტიორ ქვეყანაში ან გლობალური მასშტაბით	გს3. ენერგეტიკული პოლიტიკის არაადეკვატურობა

ქვემოთ მოყვანილია საქართველოს ბუნებრივი გაზის სექტორში აღნიშნული რისკებისა და საფრთხეების შეფასების შედეგები პირობითი ხუთბალიანი სისტემის გამოყენებით.

ცხრილი: მოწყვლადობის განმაპირობებელი რისკები და საფრთხეები

რისკი/ საფრთხე	უმნიშვნელო (1)	დაბალი (2)	საშუალო (3)	მაღალი (4)	კრიტიკული (5)
მრ1					
მრ2					
მრ3					
მს1					
მს2					
მს3					
გრ1					
გრ2					
გრ3					
გს1					
გს2					
გს3					

როგორც ჩანს, ყველაზე კრიტიკული სიტუაციის ჩამოყალიბება გაზის სექტორში შეიძლება დაკავშირებული იყოს სტრატეგიული მარაგის არარსებობასთან, რაც განაპირობებს სისტემის მოქნილობის განსაკუთრებით დაბალ დონეს, მაშინ როდესაც ქვეყანა თითქმის მთლიანად იმპორტირებულ სათბობზე არის დამოკიდებული და ენერგეტიკულ ბალანსში, გაზს, იმპორტირებულ ნავთობპროდუქტებთან ერთად, წამყვანი როლი აქვს დაკისრებული. სტრატეგიული გაზსაცავის მშენებლობა და ნავთობპროდუქტების სოლიდური რეზერვის უზრუნველყოფა ასეთი რისკის შერბილების საერთაშორისო პრაქტიკაში ადაპტირებული ხერხებია და ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნებითაც

არის გამყარებული (ენერგეტიკული თანამეგობრობის ქვეყნებისათვის მოთხოვნილება სტრატეგიული მარაგების აუცილებლობის შესახებ ამოქმედდება 2023 წლის 1 იანვრიდან⁴⁸, ევროკავშირის ძირითადი წევრი ქვეყნებისათვის კი ასეთი ნორმა უკვე ძალაშია).

რისკების შერბილების ქმედითი ღონისძიებაა, აგრეთვე, სტრატეგიულ და სოციალურად მოწვევად ენერგეტიკულ ობიექტებზე სათბობის მოკლევადიანი ჩანაცვლების შესაძლებლობის უზრუნველყოფა, მაგალითად გაზის თხევადი საწვავით (მათ შორის სტრატეგიული საცავიდან). ასევე, ჰესების მარეგულირებელი რეზერვუარების საპროექტო მოცულობების რეაბილიტაცია და რაციონალური ათვისება, შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქვეყნის ენერგომომარაგების უსაფრთხოება და დაიზოგოს ათეულ მილიონობით დანახარჯები ზამთრის კრიტიკულ პერიოდში ელექტროენერჯის ჭარბი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მათი პოტენციალის გამოყენების მეშვეობით, ნაცვლად დეფიციტური ბუნებრივი გაზის (ან ელექტროენერჯის) იმპორტის გაზრდისა თბოგენერაციის ობიექტების გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

საკმაოდ მაღალია კრიტიკული სიტუაციის ჩამოყალიბების ალბათობა ავარიებისა და ბუნებრივი კატასტროფების, სტრატეგიული ინფრასტრუქტურის უცხოური კომპანიებისათვის დათმობისა და უცხოელ პარტნიორებთან დადებული გრძელვადიანი სარისკო შეთანხმებების გამო. აღნიშნული განპირობებულია საქართველოს ლანდშაფტის თავისებურებებითა და მაგისტრალური მილსადენების ნაწილის დაბალი საიმედოობით (მათ შორის სიძველის გამო), დისტრიბუციის ძირითადი საშუალებების კონცენტრირებით უცხოური სახელმწიფო კომპანიების ხელში (“სოკარი”, “ყაზტრანსგაზი”) და მათთან დადებული ხელშეკრულებების ეფექტიანობის განჭვრეტის სირთულით გრძელვადიან პერსპექტივაში.

ინფრასტრუქტურის სისტემური საიმედოობის ამაღლება ინტერკონექტორების გამოყენებითა და არსებული სატრანსპორტო, მათ შორის ტრანსსასაზღვრო, სისტემების ეფექტური რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის ბაზაზე, ერთი მხრივ, და ბაზრის შემდგომი ლიბერალიზაცია და გახსნა რეალური კონკურენციის ხელშემწყობი და მონოპოლისტური სტრუქტურების ჩამოყალიბების საწინააღმდეგო საკანონმდებლო ინიციატივების მეშვეობით, მეორე მხრივ, აღნიშნული რისკებისა და საფრთხეების შემცირების ყველაზე უფრო რეალური საშუალება შეიძლება გახდეს.

ენერგეტიკის განვითარების სტრატეგიის შემუშავების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ადგილობრივი, მათ შორის პირველ ყოვლისა განახლებად რესურსების პრიორიტეტულ ათვისებასა და ენერგოეფექტურობის ამაღლებაზე, აგრეთვე ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურის შემდგომ სრულყოფასა და განვითარებაზე, რითაც უზრუნველყოფილი იქნება როგორც რესურსების სახეობისა და წყაროების, ისე მოწოდების მარშრუტების დივერსიფიკაცია. ასეთი სტრატეგია მინიმუმამდე შეამცირებს საშუალო და დაბალი მოწვევადობის ფაქტორების (იხ. ცხრილი) მავნე ზემოქმედების შესაძლებლობას ბაზრის გამართულ ფუნქციონირებაზე. ამასთან ერთად, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ქვეყნისათვის პრიორიტეტული ჰიდროენერგეტიკული სექტორისათვის კრიტიკული რისკებისა და საფრთხეების შემცველია ბუნებრივი

⁴⁸ Directive 2009/119/EC 14/09-2009, imposing an obligation on Member States an obligation to maintain minimum stocks of crude oil and /or petroleum products

(არა მარტო) კატასტროფებთან დაკავშირებული ავარიების მაღალი ალბათობა⁴⁹, ასიმეტრიული სეზონური უტილიზაციის შესაძლებლობა, მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების ფლობა უცხოური კომპანიების მიერ და ა.შ. შესაბამისად, ენერგეტიკული სისტემების მდგრადობის ამაღლების პრიორიტეტულ მიმართულებებად ბაზრის შემდგომ დერეგულირებასთან ერთად, უნდა ჩაითვალოს გენერაციისა და ტრანსმისიის სისტემების სტაბილიზაცია სარეზერვო, ძირითადად გაზზე მომუშავე, გენერაციის საშუალებებით და სისტემის მეზობელი ქვეყნების სისტემებთან პარალელურ რეჟიმში მუშაობის უზრუნველყოფით მაკავშირებელი გადამცემი ხაზების მეშვეობით.

3.2. კანონმდებლობა და რეგიონული ინტეგრაცია

საქართველომ ევროპულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებში ინტეგრირების გზა აირჩია. შესაბამისად, ქვეყნის ენერგეტიკული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკის პრინციპებთან და მიმართულებებთან დაახლოებაა შესაბამისი კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მეშვეობით.

საკანონმდებლო და ინსტიტუციური სტრუქტურების ჰარმონიზაციის პროცესი ინტენსიურად დაიწყო საქართველოს ევროკავშირთან სამეზობლო პოლიტიკის, მოგვიანებით კი აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამასთან⁵⁰ შეერთების შემდეგ. 2006 წლის ნოემბერში მიღებულ იქნა ე.წ. საგზაო რუკა ენერგეტიკის სფეროში ევროკავშირთან გაფართოებული თანამშრომლობის ფარგლებში⁵¹. საგზაო რუკის ერთ-ერთ ძირითად ორიენტირს წარმოადგენს ენერგობაზრების დაახლოება ევროკავშირის შიდა ენერგეტიკული ბაზრების პრინციპების საფუძველზე, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება პარტნიორი ქვეყნების თავისებურებები. გრძელვადიანი ამოცანა ენერგეტიკის ინტეგრირებული რეგიონული ბაზრის შექმნა და მათი ევროკავშირის შიდა ენერგეტიკულ ბაზართან მაქსიმალური ინტეგრირებაა.

ბაზრის ლიბერალიზაციისა და ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი განსაკუთრებით აქტუალური გახდა საქართველოს ენერგეტიკულ თანამეგობრობაში (Energy Community) დამკვირვებლის სტატუსით გაერთიანების შემდეგ 2007 წლის დეკემბრიდან. თანამეგობრობაში გაწევრიანების ძირითადი მიზანი ევროკავშირის სტანდარტების და რეგულაციების განხორციელება და მის ერთიან ენერგეტიკულ ქსელთან საქართველოს მიერთებაა, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ამაღლებასა და სატრანზიტო პოტენციალის მაქსიმალურ ათვისებას.

ინტეგრაციის პროცესი ახალ ფაზაში შევიდა 2010 წლიდან, ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების დაწყების შემდეგ, რომლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა ევროკავშირის ენერგეტიკული სექტორის შიდა ბაზრების მოწყობისა და რეგულირების პრინციპებთან საქართველოს თანმიმდევრული დაახლოება-ჰარმონიზაციაა.

⁴⁹ განსაკუთრებით სარისკოა ასეთი კატასტროფები მსხვილმასშტაბიანი ჰიდროენერგეტიკული ობიექტებისათვის, რომლებიც მშენებლობის დროს გარემოზე შესაძლო მავნე ზემოქმედების მაღალი პოტენციალითაც გამოირჩევა

⁵⁰ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა აერთიანებს ევროკავშირის წევრ 27 ქვეყანას და 6 მეზობელ ქვეყანას აღმოსავლეთით: ბელარუსი, უკრაინა, მოლდავეთი, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი

⁵¹ Road map for the energy co-operation between the EU, the Littoral States of the Black and Caspian Seas and their neighboring countries, Annex 1, Astana, 30th November, 2006.

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის მე-3 პლატფორმა – “გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ენერგეტიკული უსაფრთხოება” კონცენტრირებულია პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის 4 ძირითად მიმართულებაზე⁵²:

1. საბაზო სტრუქტურები და სოლიდარობა⁵³;
2. ინფრასტრუქტურის, ინტერკონექტორებისა და მიწოდების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;
3. ენერგოეფექტურობის ამაღლებისა და განახლებადი ენერგორესურსების გამოყენების ხელშეწყობა;
4. საკანონმდებლო ბაზისა და ენერგეტიკული პოლიტიკის დაახლოება.

პროგრამის რელიზაციისათვის 2014 წლამდე პერიოდისათვის გამოყოფილია 600 მლნ ევრო, მათ შორის 175 მლნ ევრო ინსტიტუციონალური მოწყობის, 75 მლნ ევრო საპილოტო პროექტებისათვის, დანარჩენი 350 მლნ ევრო კი საინვესტიციო პროექტების იმპლემენტაციისათვის. გარდა აღნიშნულისა, აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის 2011 წლის სამიტზე, ვარშავაში, გადაწყდა დამატებითი დაფინანსების გამოყოფა ევროპული სამეზობლო და საპარტნიორო ინსტრუმენტის (ENPI) ფარგლებში⁵⁴, ძირითადად INOGATE პროგრამით გათვალისწინებული პროექტების მხარდაჭერის მეშვეობით, რომელთა პირველი რიგის ამოცანად განისაზღვრა ენერგორეგულირების, ენერგეტიკული სტანდარტებისა და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგეტიკის მხარდაჭერა.

თითოეული პარტნიორი ქვეყანა (სომხეთის გარდა), მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის მიუხედავად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროკავშირისა და ზოგადად საერთაშორისო ენერგეტიკული ბაზრის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხში (საქართველო, კერძოდ, მოიაზრება აზერბაიჯანული და ცენტრალური აზიის საბადოების ნავთობისა და გაზის ევროპაში მიწოდების ერთ-ერთ ძირითად მარშრუტად, რაც განაპირობებს ქვეყნისადმი ევროკავშირის განსაკუთრებულ ინტერესს). შესაბამისად, შეთავაზებულია ურთიერთპარტნიორობის ფართო სპექტრი – ბაზრის პრაქტიკულად სრული ინტეგრაციიდან შედარებით “რბილ” ურთიერთობებამდე დამოუკიდებელი ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე. მიუხედავად აღნიშნულისა, ევროკავშირის სურვილია ყველა პარტნიორმა ქვეყანამ, გამონაკლისის გარეშე, უზრუნველყოს ევროკავშირის ენერგეტიკულ ბაზრებთან დაკავშირებული იურიდიული ვალდებულებების ნაციონალურ კანონმდებლობაში ასახვა. ენერგეტიკული საკანონმდებლო ურთიერთობების დაახლოება-ჰარმონიზაცია გაერთიანებასთან კოოპერაციისა და რეფორმების შეფასების ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად ითვლება.

საქართველოს, სხვა პარტნიორ ქვეყნებთან ერთად, აქვს მრავალმილიონიანი მხარდამჭერი ფონდებიდან დაფინანსების მიღების შესაძლებლობა ქვეყნის ენერგეტიკულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სტრატეგიული პროექტებისა და ბაზარზე კონკურენციის შეუზღუდავი და გამჭვირვალე პირობების ჩამოსაყალიბებლად, რის საშუალებასაც იძლევა ევროპულ ენერგეტიკულ ბაზართან დაახლოება-ინტეგრაციის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაცია,

⁵² The EU and its Eastern Partners: Energy Needs and Future Prospects, European Parliament, Directorate-General for External Policies, Policy Department, 2012

⁵³ სომხეთისა და ბელორუსის მიერ დაკავებული პოზიციის გამო მუშაობა ამ მიმართულებით ჯერ-ჯერობით გადადებულია

⁵⁴ EuropeAid. Update on Eastern Partnership Implementation. EaP Summit, 29-30 September, 2011, Warsaw. http://eeas.europa.eu/easten/docs/2011_eap_implementation_en.pdf

ადგილობრივი სპეციფიკით განპირობებული სათანადო ადაპტაციის მექანიზმების აუცილებელი გათვალისწინებით.

ენერგეტიკული სექტორის ზოგიერთი საკვანძო ობიექტის შესაძლო კონტროლი ოლიგოპოლური სტრუქტურების მიერ და ევროკავშირთან უშუალო სახმელეთო გეოგრაფიული საზღვრის არაარსებობა, მთავარი სავარაუდო ხელშემშლელი ფაქტორებია პრობლემის წარმატებით გადაწყვეტის გზაზე. ქვეყნის ხელმძღვანელობის პოლიტიკური ნებისა და აქტიური მხარდაჭერის გარეშე, რაც საქართველოს საკვანძო გეოსტრატეგიული მდებარეობით და ამასთან დაკავშირებით, ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის დესტრუქციული მოქმედებით შეიძლება იყოს განპირობებული, რეგიონულ და ევროპულ ენერგეტიკულ ბაზრებთან ინტეგრაციის გადაუდებელი პროცესი შეიძლება გაუმართლებლად გახანგრძლივდეს.

ევროკავშირის ენერგეტიკული პოლიტიკა გაზის (ისევე როგორც ელექტროენერგეტიკის) სექტორში დაფუძნებულია 3 ფუძემდებლურ პრინციპზე: კონკურენცია, მდგრადი განვითარება და მიწოდების უსაფრთხოება.

მდგრადი განვითარება დაკავშირებულია გლობალური კლიმატის ცვლილებებით ინიცირებული ნეგატიური მოვლენებით, რომელთა შერბილებისათვის ევროკავშირმა შეიმუშავა დირექტივები 20:20:20 კონცეფციის (2020 წლისათვის პირველადი ენერჯის 20%-ის უზრუნველყოფა განახლებადი რესურსებით და ენერგოეფექტურობის ზრდა 20%-ით) რეალიზაციის მიზნით.

მიწოდების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ევროკავშირი ამ პრობლემისადმი მიძღვნილი დირექტივებით უზრუნველყოფს განსაკუთრებული მოთხოვნების დაცვას ყველა პარტნიორი ქვეყნის მიერ.

ჯანსაღი კონკურენციის უზრუნველყოფის მიზნით ევროკავშირი გეგმავს ერთიანი შიგა ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბების პროცესის დასრულებას, რომელიც ფაქტობრივად 1986 წელს დაიწყო ერთიანი ევროპული აქტის (SEA) მიღებით. აქტი ყურადღებას ამახვილებდა ელექტროენერგეტიკულ და ბუნებრივი გაზის ბაზრებზე კონკურენციის ნაკლებობაზე და მოითხოვდა შესაბამისი საკანონმდებლო პროცესის დაწყებას.

1990 წელს ევროკავშირის 90/347/EEC დირექტივით დადგინდა პროცედურები სამრეწველო მომხმარებლებისათვის გაზისა და ელექტრობის ფასების გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით (1st Price Transparency Directive). ამავე პერიოდში შემუშავდა დირექტივა 90/547/EEC, რომელიც ეხება გადამცემი ქსელებით ელექტროენერჯის თავისუფალი ტრანზიტის უზრუნველყოფის საკითხებს.

1996 წელს ძალაში შევიდა დირექტივა ელექტროენერჯის შიგა ბაზრის წესების, 1998 წელს კი გაზის შიგა ბაზრის წესების შესახებ (1st Electricity Directive – 96/92/EC და 1st Gas Directive – 98/30/EC). დირექტივებით დაწესდა ნაციონალური ბაზრების გახსნის სავალდებულო მინიმალური მოთხოვნები, მათ შორის მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და ელექტროენერჯის ობიექტების დაშვების ვალდებულება გაზის კონკურენტულ მიმწოდებლებთან და ქსელზე მესამე მხარის დაშვების ძირითადი პირობები.

ევროკავშირის პირველი ენერგეტიკული დირექტივების ძირითადი დანიშნულება იყო შიგა ბაზარზე ფასთა სხვაობის მაქსიმალური გათანაბრება და შემცირება, კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების საფუძველზე, აშშ და ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს ლიბერალიზებული ბაზრების ანალოგიურად. პრაქტიკაში მათი იმპლემენტაციის სირთულისა და

გამომჟღავნებული ნაკლოვანებების გამო, 2003 წელს მოხდა მათი ჩანაცვლება ელექტროენერჯისა და გაზის მე-2 დირექტივებით (Directives 2003/54/EC და 2003/55/EC). ახალი დირექტივების ძირითადი მოთხოვნები იყო: მიწოდებისა და ქსელური მომსახურების საქმიანობათა განმხორციელება, ნაციონალური მარეგულირებელი ორგანოების ჩამოყალიბების ერთიანი კრიტერიუმების შემუშავება და მიწერილობა არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლის დაშვების შესახებ ნებისმიერ საცალო მიმწოდებელზე 2004 წლის 1 ივლისიდან და ყველა მომხმარებლისათვის – 2007 წლის 1 ივლისიდან.

აღნიშნული დირექტივები 2009 წელს ჩანაცვლდა უფრო სრულყოფილი და ყოვლისმომცველი მე-3 ენერგეტიკული პაკეტის დირექტივებით, რომლებიც აყალიბებენ 2014 წლისათვის ევროკავშირის ერთიანი ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის ბაზრების ჩამოყალიბების პროცესის დასრულების პირობებს, აგრეთვე, თავაზობენ პარტნიორ მხარეებს ბაზრების სანიმუშო მოდელებს.

ზოგადად ევროკავშირის ენერგეტიკული დირექტივებისა და რეგლამენტების (Regulations) ძირითადი დანიშნულებაა ერთიანი, კონკურენციაზე დამყარებული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბება შეთანადებული ტარიფებით, რაც ხელს შეუწყობს ენერგეტიკული რესურსების ტრანსსასაზღვრო მოძრაობას, თავისუფალ ვაჭრობას მაქსიმალური გამჭვირვალობის პირობებში, მესამე მხარის შეუფერხებელ და არადისკრიმინებულ დაშვებას არსებულ ინფრასტრუქტურაზე, თითოეული ქვეყნისა და მთლიანად გაერთიანების ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.

პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ტრანსპორტირებისა და საბითუმო მიწოდებისა და ვაჭრობის განმხორციელებით მიღებულმა დადებითმა ეფექტმა, რაც კონკურენტულ გარემოში ფასების შემცირებაში აისახა, მნიშვნელოვნად გადააჭარბა მანამდე არსებულ, ვერტიკალურად ინტეგრირებული საქმიანობით უზრუნველყოფილ პოზიტიურ ეფექტს. მიუხედავად აღნიშნულისა, ბაზრის ლიბერალიზაციისა და კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბების პროცესი ევროპაში საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა. ნაციონალური ბაზრების ყოფილი დომინანტი ან მონოპოლური, მსხვილი ინტეგრირებული კომპანიები, რომლებიც ოფიციალური სამთავრობო მხარდაჭერითაც სარგებლობენ, სწრაფად ახერხებენ ადაპტაციას ახალ პირობებთან სხვადასხვა, ზოგჯერ ფსევდო რესტრუქტურისა და აქტივების შექმნის ან პირიქით, განკარგვის, მეშვეობით. ისინი ფაქტობრივად აგრძელებენ ინტეგრირებული ხასიათის საქმიანობების მეშვეობით ფუნქციონირებას გაზომობარების მთლიანი ჯაჭვის მოცვით, ამასთან არა მარტო ნაციონალურ, არამედ ხშირად სხვა ქვეყნების ბაზრებზეც⁵⁵. პარალელური პროცესები მიმდინარეობს შედარებით მცირე, ნაციონალური მასშტაბის პრივილეგირებულ კომპანიებშიც. რესტრუქტურისა და სხვადასხვა ფორმის გამოყენებით ისინი ახერხებენ გაინაწილონ მსხვილ საერთაშორისო კომპანიებთან ადგილობრივი ბაზრის ზოგიერთი საქმიანობა და შეინარჩუნონ უწინდელი დომინანტის ფუნქციები.

ქვემოთ გაანალიზებულია საქართველოს ენერგეტიკული ბაზრის საკანონმდებლო ბაზის შედარება ევროკავშირის ბაზრის ფუნქციონირების პრინციპებთან⁵⁶.

⁵⁵ C.Shuke, The EU's Major Electricity and Gas Utilities since Market Liberalization (Comprehensive review and case studies), IFRI, 2010

⁵⁶ V.Jankauskas, T.Gochitashvili, G.Abulashvili, Development of Georgian Electricity and Gas Markets in Line with the EU Energy Policy, Georgian Economic Trends, GEPLAC, Quarterly Review, February, 2008

კანონი ელექტროენერჯისა და ბუნებრივი აირის შესახებ ძირითადი იურიდიული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საქმიანობას საქართველოს ელექტროენერჯისა და გაზის სექტორში. ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ელექტროენერჯისა და გაზის შესახებ მოქმედ კანონებთან შედარებით, საქართველოს კანონი ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ენერჯეტიკის სამინისტროსა და, განსაკუთრებით, კომისიის როლებისა და ფუნქციების განსაზღვრას, მაგრამ არ აღწერს ბაზრის საქმიანობის წესებსა და პირობებს. თუმცა, ზოგჯერ, ასეთი მიდგომა ითვლება მისაღებად, რადგან თუ სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის უფლებამოსილებები მკაფიოდ არის განსაზღვრული, მათ ეძლევათ საშუალება, შეიმუშაონ და/ან დაამტკიცონ ისეთი განმახორციელებელი დებულებები, რომლებიც უზრუნველყონ ბაზრის ფუნქციონირების მდგრადობასა და მოქნილობას მკაფიო და გამჭვირვალე პრინციპების საფუძველზე.⁵⁷

კანონის სხვა ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები ევროპულ დირექტივებთან შედარებით, შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: სათანადოდ არ არის განსაზღვრული მომხმარებლის დაცვისა და სახელმწიფოს მხრიდან სოციალურად დაუცველი ფენის საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის ვალდებულება, არ არის დადგენილი სოციალურად დაუცველი მომხმარებლის კატეგორია; არ არის განსაზღვრული ენერჯის დაზოგვის კონკრეტული სამიზნო ვალდებულებები; არ არის სათანადოდ გამოკვეთილი მიწოდების განსაზღვრება და, შესაბამისად, საქართველოს რეალობაში ეს, თავისი არსით კონკურენტული საქმიანობა აღრეულია მონოპოლიური ხასიათის განაწილების საქმიანობასთან; მოთხოვნა სხვადასხვა რეგულირებადი საქმიანობის განცალკევების შესახებ, არა მარტო აღრიცხვიანობის, არამედ მართვის და ექსპლუატაციის გამიჯვნასაც (იურიდიული და ფუნქციონალური გამიჯვნა) უნდა მოიცავდეს, რომელსაც გარკვეულ ეტაპზე შეიძლება ევროპული კანონმდებლობით რეკომენდებული საკუთრების გამიჯვნის მოთხოვნაც მოყვეს. ზოგადად კი, ევროპული კანონმდებლობა არ მოითხოვს გაზის სექტორში სავალდებულო მფლობელობით დაყოფას გამანაწილებელი კომპანიებისათვის, თუმცა დაყოფის სხვა შემთხვევებში (ფინანსური, მმართველობითი, იურიდიული) რეკომენდაციას უწევს ისეთი დამატებითი მარეგულირებელი მექანიზმების შემოღების აუცილებლობას, რომელიც გამორიცხავს შესაძლო არაჯანსაღ საბაზრო ქმედებებს.

საქართველოს ენერჯეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრავს ენერჯეტიკის გრძელვადიანი პოლიტიკის ძირითად ამოცანებს. დოკუმენტი, ასევე, განსაზღვრავს კონკურენციისათვის ბაზრის თანმიმდევრული გახსნის განრიგს, რომელიც სასურველია ითვალისწინებდეს ევროკავშირის მე-3 ენერჯეტიკული პაკეტის შესაბამის დებულებებს, რაც შეიძლება სავალდებულო გახდეს განხორციელებისათვის ასოცირების ხელშეკრულების მოთხოვნების და/ან ენერჯეტიკულ თანამეგობრობაში გაწევრიანების შემთხვევაში და აისახოს შესაბამის კანონშიც, ევროკავშირის დირექტივების ანალოგიურად, რაც უფრო მეტ გარანტიას უზრუნველყოფს პოტენციური ინვესტორებისათვის.

ფორმალურად საქართველოს ენერჯეტიკულ ბაზარზე სხვადასხვა ტიპის საქმიანობა გამიჯნულია ერთმანეთისაგან (გარდა საცალო მიწოდებისა და დისტრიბუციისა). როგორც წესი, სხვადასხვა ფუნქციონალური დანიშნულების კომპანიების ოპერატიული საქმიანობა და ფინანსური ანგარიშგების საკითხები

⁵⁷ T.Gochitashvili, M.Krakauskas, G.Abulashvili, Georgia in the context of EU energy policy, GEPLAC, Georgian Economic Trends, Quarterly review, June 2006

განცალკევებულია ერთმანეთისაგან, თუმცა რეკომენდებული ევროპული მოდელისაგან განსხვავებით, მათ შეიძლება ერთი და იგივე მესაკუთრეები ჰყავდეთ (სახელმწიფო უწყება და კომპანიები, “თელასი”, “SOCAR” და შვილობილი კომპანიები, და ა.შ.). ასევე, მაგალითად, “ყაზტრანსგაზ თბილისის” და სხვა გამანაწილებელი კომპანიების შემთხვევაში, ერთი და იგივე კომპანია აკონტროლებს როგორც დისტრიბუციის, ისე მიწოდების საქმიანობებს, რაც კონკურენტული საბაზრო პრინციპებიდან უხეშ გადახვევად შეიძლება ჩაითვალოს. ევროპული კანონმდებლობა, მაგალითად, განსაზღვრავს ლიცენზირებულ დამოუკიდებელ მომწოდებლებს, რომლებსაც უფლება აქვთ, შეისყიდონ ენერჯია ნებისმიერი მწარმოებლისაგან და მიჰყიდონ იგი ნებისმიერ უფლებამოსილ მომხმარებელს, მაგრამ ისინი არ არიან ჩართული დისტრიბუციაში, რითაც უზრუნველყოფილია კონკურენტული (მიწოდება) და მონოპოლიური (დისტრიბუცია) საქმიანობების განცალკევება და ამ ორი საქმიანობის ურთიერთსუბსიდირების თავიდან აცილება. შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში აუცილებელია იურიდიული და ფუნქციონალური გამიჯვნა. თუმცა, ამავე დროს აუცილებელია აღინიშნოს, რომ საქართველოს ბაზარზე კანონით მოცულ საქმიანობებს შორის განიხილება მესამე მხარის კუთვნილი გაზის გატარების ვალდებულებაც განაწილების ლიცენზიანტის ქსელის მეშვეობით და არეგულირებს მასთან დაკავშირებულ ტექნიკურ, კომერციულ და ფინანსურს საკითხებს, რაც ნაწილობრივ აღმოფხვრის არსებულ შეუსაბამობას.

მხოლოდ საცალო მიწოდებისა და დისტრიბუციის საქმიანობათა რეალური განმხორციელება ჩამოაყალიბებს ხელსაყრელ პირობებს უმრავლესი საცალო მომხმარებლებისათვის დადონ პირდაპირი კონტრაქტები ნებისმიერ მომწოდებლებთან და იზრუნონ საცალო მიწოდებისა და დისტრიბუციის ტარიფების ოპტიმიზაციისათვის.

მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია სახელმწიფოს კუთვნილი ენერგეტიკული ობიექტების გონივრული პრივატიზაციისა და სექტორში კერძო მფლობელობის ინსტიტუტის ჩამოყალიბების ხელშეწყობის პოლიტიკის გაგრძელებასაც. თუმცა, ამასთან ერთად, საჭიროა ყოველმხრივ შეწონილი და გამჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღება სტრატეგიულ მნიშვნელობის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტების პრივატიზების პროცესში.

საკანონმდებლო მოთხოვნით უნდა გახდეს სავალდებულო აგრეთვე მკაფიო სახელმძღვანელო დოკუმენტის (ინსტრუქციის) შემუშავება, მომხმარებლის მიერ მომწოდებლის შეცვლის (შერჩევის), მომსახურების ხარისხისა და მომხმარებელთა საჩივრების განხილვის პროცედურების შესახებ, როგორც ეს საერთაშორისო პრაქტიკაში არის მიღებული.

როგორც ანალიზი აჩვენებს, საქართველოში მოქმედ კანონმდებლობა ნაწილობრივ არ შეესაბამება დირექტივებში მოცემული ძირითადი დებულებებს, ზოგიერთი დებულება კი სრულიად ახალია ქართული კანონმდებლობისათვის და დეტალურ, კომპლექსურ და მაღალ კომპეტენტურ შესწავლას მოითხოვს მათი სამოქმედოდ შემოღებისათვის საბოლოო რეკომენდაციების მოსამზადებლად.

აღსანიშნავია, რომ ევროპული რეგლამენტით ზოგიერთ შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე, დასაშვებია გარკვეული შეღავათების დაწესება, მათ შორის იმ პირობებში, როცა საკითხი ეხება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისთვის დამატებითი რისკის წარმოშობის აღბათობას. საქართველოს ასოცირება/ინტეგრაციის შემთხვევაში ევროკავშირის შესაბამის სტრუქტურებთან

ქვეყანამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ასეთი შესაძლებლობა, აგრეთვე რეგლამენტის ზოგიერთი მოთხოვნის გაუვრცელებლობის პირობა ადრე ხელმოწერილ საერთაშორისო, მაგალითად, სატრანზიტო ხელშეკრულებებზე და ზოგიერთი ნორმის გაუვრცელებლობის უფლება ისეთ პროექტებზე, რომელთა რეგულირება სცილდება მისი კომპეტენციის ფარგლებს (მაგალითად, სამხრეთ კავკასიურ გაზსადენზე, ბაქო-თბილის-ჯეიჰანის ნავთობსადენზე და ა.შ.).

გარდა ამისა, საქართველოსთვის მნიშვნელოვანია შეინარჩუნოს უფლება აწარმოოს მოლაპარაკებები დაინტერესებულ მხარეებთან და სატრანზიტო ტარიფების ტიპისა (მათ შორის, ნატურით ანაზღაურების) და რაოდენობის დაწესების თაობაზე ინდივიდუალურად, ყოველი ახალი პროექტისათვის, რადგან ევროპული კანონმდებლობა პრაქტიკულად აუქმებს სატრანზიტო გადასახადის მცნებას და არ ითვალისწინებს ახალი ტრანსნაციონალური პროექტების რეალიზაციის პოლიტიკურ შედეგებს საქართველოსათვის.

სავარაუდოდ, საქართველო გააგრძელებს ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესს და იმ დადებით შედეგებსაც მიიღებს, რომლებიც ევროპას მოუტანა ბაზრების ლიბერალიზაციამ. მაგრამ, როგორც ანალიზი აჩვენებს, ქვეყნის ენერგეტიკული სექტორის ინსტიტუციონალურ მოწყობასა და მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებობს გარკვეული წინააღმდეგობები შესაბამისი ევროპული რეგლამენტების მოთხოვნებთან შედარებით, რომელთა უმტკივნეულო ადაპტაციისათვის მომზადება ძალზე სერიოზული და გადაუდებელი ამოცანაა. პრობლემა ძირითადად ეხება არსებული სატრანზიტო პროექტების სარგებლიანი პირობების შენარჩუნების სამართლებრივი მექანიზმების განსაზღვრას, ენერგეტიკულ ბაზარზე კონკურენტული და მონოპოლისტური საქმიანობების ეფექტური გამიჯვნის საკითხებს და ა.შ.

3.3. მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტები

მოწოდების დივერსიფიკაციის პირობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა წყაროს პოტენციალის მაქსიმალურ ათვისებას და განსხვავებული ხარისხის გაზის დამოუკიდებელი მიღების უზრუნველყოფას ყველა ძირითადი მსხვილი მომხმარებლის მიერ და სისტემის სტრუქტურული საიმედოობის ამაღლებას. ამ მიზნით აუცილებელია გაგრძელდეს საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების ეტაპობრივი აღდგენა-რეკონსტრუქციისა და განვითარების სამუშაოები. მოკლევადიან პერსპექტივაში პრიორიტეტულად განსახორციელებელ პროექტებს შეიძლება მიეკუთვნოს ინტერკონექტორები საქართველოს მაგისტრალური გაზსადენის სხვადასხვა მიმართულების განშტოებების ურთიერთდასაკავშირებლად და აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულების კრიტიკული მონაკვეთების რეაბილიტაცია (იხ. ცხრილი).

კონტრაქტის თანახმად, სამხრეთ კავკასიური გაზსადენიდან გაზის მიღება თითქმის თანაბრად არის განაწილებული მთელ წელზე. ასეთ პირობებში რთულად გადასატრეულ ტექნიკურ-ეკონომიკურ პრობლემას წარმოადგენს სატრანზიტო გაზსადენიდან მიღებული გაზის ოპტიმალური უტილიზაცია, ზამთარ-ზაფხულის სეზონების მიხედვით მოხმარების მკვეთრი უთანაბრობისა და სეზონური ნამეტი ან

დეფიციტური გაზის შენახვის შესაძლებლობის არარსებობის გამო. დღეისათვის პრობლემა გადაჭრილია აზერბაიჯანულ მხარესთან ხელმოწერილი სამთავრობო მემორანდუმითა და მის საფუძველზე კომპანია “სოკარსა” და სნგკ-ს შორის ხელმოწერილი გრძელვადიანი, ხელშეკრულებით საჭირო რაოდენობის გაზის გარანტირებული მოწოდების თაობაზე სოციალური თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მომხმარებლისათვის.

როგორც აღინიშნა, გრძელვადიან პერსპექტივაში, აზერბაიჯანული შპს დენიზის საბადოს ათვისების მეორე ფაზის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზრდება საქართველოზე გამავალი სატრანზიტო ნაკადები და შესაბამისი ქვეყნის წილი გაზის მოცულობები (დაახლოებით 1,3-1,6 მლრდ მ³/წ-მდე 2018-2025 წლებში), მათი წლის განმავლობაში პრაქტიკულად თანაბარი მოწოდების პირობებში.

იმ პირობებში, როცა ქვეყანა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ძირითადი სათბობი რესურსების იმპორტზე, მიწისქვეშა გაზსაცავი ენერგეტიკული რესურსების სტრატეგიული მოცულობების დამარაგებისა და ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი განუყოფელი ატრიბუტია, გარდა ამისა, საცავის გამოყენება საუკეთესო, და ყველაზე იაფი საშუალებაა გაზის მოწოდება-მომხმარების სეზონური დისბალანსის დასარეგულირებლად. ლიბერალიზებული ბაზრის პირობებში კი, როცა მოხმარების გარკვეული სეგმენტის დაკმაყოფილება სპორტური გარიგებების საფუძველზე მიღებული გაზით ხორციელდება, გაზსაცავი იძენს კომერციული ობიექტის ფუნქციასაც და მნიშვნელოვანი დამატებითი შემოსავლების მიღების შესაძლებლობას იძლევა კომერციული საქმიანობიდან, როცა ნებისმიერ მომწოდებელს ან მომხმარებელს შეუძლია, შეისყიდოს და დაასაწყობოს გაზი მისთვის სასურველ დროს და გამოიყენოს (ან გაყიდოს უფრო სარფიანად) იგი საჭიროებისამებრ.

გარდა ამისა, თბოელექტროსადგურების, ისევე როგორც გაზზე მომუშავე ნებისმიერი ენერგეტიკული ობიექტისა და მომხმარებლისათვის, აუცილებელია საწვავის სტრატეგიული მარაგების უზრუნველყოფა კრიტიკულ სიტუაციებში მათი შეფერხების გარეშე გამოყენების მიზნით, აგრეთვე არსებულ წყალსაცავიან ჰესებზე დამარაგებული წყლის რაციონალური ხარჯვის დაგეგმვის უფრო ეფექტური განხორციელებისათვის.

პრიორიტეტულ საინვესტიციო პროექტებს მიეკუთვნება, აგრეთვე, განახლებადი ენერგეტიკის ობიექტების სარეზერვო, გაზზე მომუშავე გენერაციის საშუალებების მშენებლობა, რომლებიც უზრუნველყოფენ მზარდი ჰიდრო-, მომავალში კი ქარის ენერგეტიკის კლიმატის სეზონურ ცვალებადობასთან დაკავშირებული უთანაბრობის კომპენსაციას.

რეკომენდებული საინვესტიციო პროექტების ქვემოთ მოცემული შეფასებები, ძირითადად, ითვალისწინებს დანახარჯებს სტრატეგიული დანიშნულების ინფრასტრუქტურაზე, რომელთა დაფინანსება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფოს ან სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიების მიერ (საკუთარი ან სხვადასხვა პროგრამით მოზიდული თანხებით). უნდა აღინიშნოს, რომ შეთავაზებული საინვესტიციო პრიორიტეტები, კერძოდ, სტრატეგიული რეზერვების უზრუნველყოფის, ტრანსსასაზღვრო და შიგა სატრანსპორტო სისტემების განვითარება-სრულყოფა, ძირითადად, ურთიერთდამაკავშირებელი ხაზების (ინტერკონექტორების) პროექტები (მე-3 ენერგეტიკული პაკეტის ბაზაზე კონკურენციაზე დაფუძნებული და ინტეგრირებული ბაზრის ჩამოყალიბების ღონისძიებების ხელშეწყობასთან ერთად), პრიორიტეტებად არის აღიარებული

ევროკავშირის საგარეო ენერგეტიკული პოლიტიკის მიხედვით, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს მათ ფინანსურ უზრუნველყოფას სხვადასხვა შეღავათიანი საერთაშორისო ფონდიდან.

ცხრილში მოცემულია მიმდინარე ათწლეულის გაზის სექტორისა და მასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების ბიუჯეტი. გასაგები მიზეზების გამო, განსაკუთრებით მსხვილი პროექტების ბიუჯეტი ითვალისწინებს მხოლოდ პირდაპირ დანახარჯებს, რაც მოიცავს მხოლოდ მოწყობილობის შექმნისა და მშენებლობის (მონტაჟის) ღირებულებას. არ არის გათვალისწინებული, აგრეთვე, საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი მსხვილი საერთაშორისო პროექტებით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-განვითარებისათვის საჭირო ინვესტიციები, რომელთა დაფინანსება, ძირითადად, პროექტის რეალიზაციისათვის ჩამოყალიბებული კონსორციუმების მიერ იქნება უზრუნველყოფილი.

ცხრილი. პროექტების შეფასებითი ღირებულება, მლნ აშშ დოლარი⁵⁸

საინვესტიციო პროექტი	2013-2015	2016-2021
ინტერკონექტორები		
ტაბაწყური-ბაკურიანი (300 მმ, დაახლოებით 20 კმ)	15-16	
რუსთავი-საგარეჯო (300 მმ, დაახლოებით 25 კმ)		
ვალე-ვანი (700 მმ, დაახლოებით 70 კმ)		20 (80:4) ⁵⁹
მაგისტრალური მილსადენების რეაბილიტაცია-განვითარება		
საგურამო-გორი-ვაყა (700 მმ, დაახლოებით 100 კმ)	160-165	
ვაყა-ქუთაისი (700 მმ, დაახლოებით 100 კმ)		
აზერბ. საზღვარი - გარდაბანი (700 მმ, დაახლოებით 18 კმ)		
სუჯუნა-ბათუმი (300 მმ, დაახლოებით 95 კმ)		
წითელი ხიდი - მარნეული (500 მმ, დაახლოებით 22 კმ)		
საკომპრესორო სადგური		43
მიწისქვეშა გაზსაცავი (მოსამზადებელი სამუშაოები და მშენებლობის I ეტაპი)		200-250
თესები (განახლებადი ენერგეტიკის სარეზერვო 100-125 და 200-250 მგვტ სიმძლავრის გაზტურბინები)		100-120
სულ ინვესტიცია	175-180	363-433
საშუალო წლიური ინვესტიცია	55-60	60-75

⁵⁸ მსხვილი საინვესტიციო პროექტებისათვის აღებულია მხოლოდ მოწყობილობისა და მშენებლობის (“სუფთა”) ღირებულება (“overnight erected” costs) და არ არის გათვალისწინებული პროექტის რეალიზაციის სპეციფიკური ცვალებადი ხარჯები, როგორებიცაა: მიწის ღირებულება, მენეჯმენტის, დაფინანსების, დაზღვევის, ესკალაციისა და სესხის პროცენტის დანახარჯები მშენებლობის პერიოდში, მაკავშირებელი მილსადენებისა და მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების, ქვესადგურისა და ა.შ. დანახარჯები

⁵⁹ ცხრილში მითითებულია მილსადენის მშენებლობის სავარაუდო ღირებულების მეოთხედი, რადგან მისი მშენებლობის საკითხი რეალურად დაისმება AGRI LNG პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში და მის ფარგლებში, რომლის განხორციელება იგეგმება მონაწილე 4 ქვეყნის კომპანიების ერთობლივი ძალისხმევით

4. ანალიზის შედეგები და რეკომენდაციები

ბუნებრივი გაზი ყველაზე იაფი, მოხმარებისათვის მარტივი და ეკოლოგიურად სუფთა წიაღისეული ენერგეტიკული რესურსია საქართველოს პირობებში. იგი განახლებადი რესურსების დარეზერვების ყველაზე იაფი და მოქნილი საშუალებაა. გაზის დივერსიფიცირებული მომარაგების შესაძლებლობა სხვადასხვა წყაროდან, მათ შორის თხევადი და კომპრესირებული გაზის მოწოდების პერსპექტივები, არსებული და დაგეგმილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოტენციური მარშრუტების დივერსიფიკაციისათვის, უზრუნველყოფს ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების მაღალ დონეს. შესაბამისად, გაზის, როგორც ძირითადი სათბობი რესურსის, გამოყენება გარდამავალი პერიოდის საქართველოს ენერგეტიკაში, ადგილობრივ განახლებად რესურსებზე დაფუძნებული ძვირადღირებული საინვესტიციო პროექტების რეალიზაციამდე, სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად სტრატეგიულ პრიორიტეტად უნდა იქნეს მიჩნეული.

როგორც ანალიზი აჩვენებს, საქართველოში გაზის მოთხოვნა-მომარაგება 2006-2010 წლების საშუალო 1.6 მლრდ მ³-დან, 2020-2021 წლებისათვის დაახლოებით 2,4-3,1 მლრდ მ³-მდე შეიძლება გაიზარდოს. პროგნოზირებული მოთხოვნის გარანტირებული დაკმაყოფილებისა და ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის, ენერგეტიკისა და საყოფაცხოვრებო სექტორის მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის რეგიონულ სისტემებში ინტეგრირებული და ლიბერალური, კონკურენტული საბაზრო ურთიერთობების პირობებში, საჭირო იქნება როგორც მოწოდების წყაროებისა და მარშრუტების შემდგომი დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, ისე შესაბამისი ტრანსპორტირება-განაწილებისა და დამარაგების ინფრასტრუქტურის განვითარება, აგრეთვე შესაბამისი ინსტიტუციონალური და საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება მთლიანად ენერგეტიკასა და, მათ შორის, გაზის სექტორში.

გლობალური საფინანსო-ეკონომიკური კრიზისის, ენერგეტიკულ რესურსებზე ფასების მნიშვნელოვანი და მკვეთრი ზრდის, გლობალური დათბობით გამოწვეული რეალური საფრთხეებისა და საქართველოს გარდამავალი ეკონომიკის მზარდი მოთხოვნების გათვალისწინებით ენერგეტიკულ რესურსებზე, მიზანშეწონილია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების ზრდისა და მდგრადი განვითარების ხელშეწყობი შემდეგი რეკომენდაციების რეალიზაცია:

- ადგილობრივი ენერგეტიკული, მათ შორის მდიდარი ჰიდრორესურსების ათვისების უპირატესი ხელშეწყობა და მათ ბაზაზე მყარი და კონკურენტუნარიანი ბაზრის ჩამოყალიბება, ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტად უნდა დარჩეს. ამასთან ერთად, კლიმატურ პირობებზე დამოკიდებული განახლებადი რესურსების მაღალი წილი ჯამურ ენერგეტიკულ ბალანსში, აუცილებლად მოითხოვს მათი დარეზერვების საიმედო სისტემების ჩამოყალიბებას, რისთვისაც ყველაზე უფრო მიზანშეწონილი გაზზე მომუშავე გენერაციის საშუალებებია, მეზობელ ქვეყნებთან ენერჯის მიმოცვლის ინფრასტრუქტურულ საშუალებებთან ერთად. გარდა ამისა, ჰესების მარეგულირებელი რეზერვუარების საპროექტო მოცულობების რეაბილიტაცია და რაციონალური ათვისება, შესაძლებლობას იძლევა მნიშვნელოვნად გაიზარდოს ქვეყნის ენერგომომარაგების უსაფრთხოება და დაიზოგოს ათეულ მილიონობით დანახარჯები ზამთრის კრიტიკულ პერიოდში ელექტროენერჯის ჭარბი მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის მათი პოტენციალის გამოყენების მეშვეობით, ნაცვლად დეფიციტური ბუნებრივი გაზის იმპორტის გაზრდისა.

სამომხმარებლო სექტორში ენერგოეფექტურობისა და ენერგეტიკაში განახლებადი ენერგეტიკული რესურსების წილის მაქსიმალური ზრდა, ბუნებრივი გაზის გამოყენებაზე დაფუძნებულ სარეზერვო სისტემებთან ერთად, მნიშვნელოვანი პოტენციალის მქონე, დღეისათვის არასაკმარისად ათვისებული მიმართულებაა. შესაბამისი პროტექციონისტული პოლიტიკისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შემთხვევაში, განახლებადი რესურსების ბაზაზე ქვეყნის უსაფრთხო და ეკონომიკურად ეფექტურ ენერგეტიკული სექტორის განვითარებას უნდა ჩაეყაროს საფუძველი, პარალელურად კი უზრუნველყოფილი იქნეს გარემოს დაცვის, ქვეყნისათვის კრიტიკული დასაქმებისა და, ზოგადად, მდგრადი განვითარების პრობლემების გადაწყვეტა.

ზოგადად კი, განახლებადი ენერგეტიკული რესურსების ათვისებისა და ენერგოდამზოვ ღონისძიებათა რეალიზაციის პროტექციონისტული, საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული, სახელმწიფო პოლიტიკის მხარდაჭერა არსებული პოტენციალისა და გლობალური ტენდენციების გათვალისწინებით, ქვეყნის ფინანსური დანახარჯების მინიმიზაციისა და სათბობი რესურსების, კერძოდ, ძვირადღირებული იმპორტული ბუნებრივი გაზის მნიშვნელოვანი დაზოგვის საშუალებას იძლევა.

- ენერგეტიკული სისტემების საიმედოობისა და კომერციული კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი საშუალებაა გაზის სატრანზიტო მილსადენებისა და საერთოდ ენერჯის არსებული სატრანზიტო და მიმოცვლის სისტემების აღდგენა/განახლებისა და მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელი ახალი პროექტების მხარდაჭერა და რეალიზაციის ხელშეწყობა, რითაც გადაწყდება რეგიონული ენერგეტიკული სისტემების ინტეგრაციის ზოგადად, და კერძოდ საქართველოს მდგრადი ენერგომომარაგების პრობლემა.

იმპორტული სათბობის მოწოდების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა, მათ შორის ქვეყნის ტერიტორიაზე დაგეგმილი ნავთობ- და გაზსადენების პროექტების რეალიზაციის მეშვეობით, ქვეყნისა და საერთოდ რეგიონის ენერგეტიკული უსაფრთხოების ამაღლებისა და საერთო ეკონომიკური აღმაშენებლის ხელშეწყობისათვის სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად უნდა დარჩეს.

საქართველოს მაგისტრალური გაზსადენების სისტემის აღმოსავლეთ-დასავლეთი მიმართულების აღდგენა-განვითარების, ისევე როგორც დაგეგმილი შემკრავების (ინტერკონექტორების) პროექტების რეალიზაცია, საფუძველს ჩაუყრის საქართველოს გაზომომარაგების სისტემის ჩიხური არქიტექტურის შეცვლას მაღალი საიმედოობის წრიული (რგოლური) გაზომომარაგებით, რაც კრიტიკულ სიტუაციებში გაზის ნაკადების გადამისამართების საშუალებას იძლევა ნებისმიერი მომხმარებლის გარანტირებული გაზომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით და მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს გაზომომარაგების ერთიანი სისტემის ფუნქციონირების არეალსა და ტექნოლოგიურ საიმედოობას.

- ენერგეტიკული რესურსების სტრატეგიული რეზერვების შექმნა და გამოყენების რაციონალური დაგეგმვა დააბალანსებს სავარაუდო უთანაბრობას სეზონურ მოწოდებასა და მოხმარებას შორის, მნიშვნელოვნად აამაღლებს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებას და უზრუნველყოფს კრიტიკული სიტუაციების მანვე ზემოქმედების პოტენციალის მნიშვნელოვან შერბილებას.

საქართველოს ენერგეტიკაში შექმნილ კრიტიკულ სიტუაციებზე რეაგირება, როგორც წესი, სპონტანურად ხდებოდა, რაც გაუმართლებლად მაღალი

მატერიალური და ადამიანური რესურსების მობილიზაციის აუცილებლობას განაპირობებდა, ზოგ შემთხვევაში კი შეუძლებელს ხდიდა აბსოლუტურად ადეკვატური შემარბილებელი ღონისძიებების გატარებას, რაც მეტ-ნაკლებად დამახასიათებელია გარდამავალი ეკონომიკის ყველა ქვეყნისათვის და გამოწვეულია, ერთი მხრივ, თავისუფალი ფინანსური რესურსების დეფიციტით, მეორე მხრივ კი, მრავალდარგოვანი და რთული ენერგეტიკული სისტემების დამოუკიდებელი მართვის გამოცდილების დეფიციტით. დღევანდელ ეტაპზე, სტრატეგიული რეზერვების უზრუნველყოფასთან ერთად, აუცილებლად უნდა იქნას მიჩნეული რისკების შეფასებისა და კრიზისის მენეჯმენტის გეგმების შემუშავება მოწინავე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით და მისი რეალიზაცია სავარაუდო კრიტიკული სიტუაციების წარმოშობის შემთხვევაში.

- ენერჯის ავტონომიური წყაროების ექსპლუატაციაზე დაფუძნებული დეცენტრალიზებული მეურნეობრიობის განვითარება საქართველოს მაკროეკონომიკის, ძნელად მისაღვლო რეგიონების ეკონომიკური ზრდისა და მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფის ეფექტური საშუალებაა. ასეთი გადაწყვეტის ერთ-ერთი ხელშემწყობი ვარიანტი შეიძლება გახდეს ძვირადღირებული და ეკონომიკურად გაუმართლებელი მილსადენების მშენებლობის ნაცვლად ქვეყნის გაზსადენების ქსელით მოუცველი რეგიონების (მთელი ტერიტორიის დაახლოებით 30 %) მომარაგების უზრუნველყოფა შედარებით იაფი, მარტივი და ეკოლოგიურად სუფთა სათბობით – პროპან-ბუტანით (ნავთობის თხევადი გაზი – LPG), აგრეთვე გაზის ტრანსფორმაციის პროდუქტებით (კომპრესირებული გაზი – CNG სატრანსპორტო სექტორის მომხმარებლებისათვის).

როგორც ანალიზი აჩვენებს, თხევადი გაზის (LPG) ფასი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე მაღალია, მიუხედავად ძირითად მომწოდებელ ქვეყნებთან მისი სიახლოვისა და, შესაბამისად, სატრანსპორტო დანახარჯების სიმცირისა, მსოფლიოს სხვა მომხმარებელი რეგიონების ქვეყნებთან შედარებით. ენერგეტიკული რესურსების, მათ შორის თხევადი გაზის, ფასების დარეგულირება კონკურენციის უზრუნველყოფითა და მოწოდების სწორი ორგანიზაციის დაგეგმვის ხელშემწყობით სახელმწიფოს ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ფუნქცია და პასუხისმგებლობაა, მიუხედავად შესაბამისი ბაზრის დერეგულირებისა. ამასთან ერთად, მთიანი და ძნელად მისაღვლო რეგიონებისათვის სათბობის მისაწოდებლად განკუთვნილი სატრანსპორტო გაზსადენების მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო დანახარჯები, LPG მიწოდების სწორი ორგანიზაციის შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებული იქნეს მოსახლეობის სუბსიდირებისათვის.

- ნავთობპროდუქტების ფასების ოპტიმიზაციის მნიშვნელოვან პოტენციალს შეიცავს ადგილობრივ მოპოვებული ნავთობის გადამამუშავებელი მცირე სიმძლავრის წარმოების ორგანიზაცია (აღდგენა თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიური ციკლის რეალიზაციით), რისთვისაც აუცილებელია მოქმედ კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა ნავთობგადამამუშავების ადგილობრივი პოტენციალის რეალიზაციისათვის ჯანსაღ კონკურენტულ გარემოში. ზოგადად კი, ქვეყნის ნავთობპროდუქტების ბაზარი, რომელიც მთლიანად დერეგულირებულია, ექსპერტთა აზრით, სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული, მათ შორის საკანონმდებლო, ინიციატივების გატარებას მოითხოვს კარტელური და კონკურენციის შემზღუდავი სხვა გარიგებების პროფილაქტიკის მიზნით.

- მოწოდების წყაროების დივერსიფიკაციის პირობებში სხვადასხვა წარმომავლობისა და მფლობელობის გაზის ტექნოლოგიური და შესაბამისი

ფინანსური ნაკადების ეფექტური მართვისათვის, რაც მნიშვნელოვანი კომერციული ხასიათის სირთულეებთან, ერთად გარკვეული სამართლებრივი რისკების წარმოშობის საშიშროებასაც ქმნის, აუცილებელი ხდება ნორმატიულ-სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფისა და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულ ნორმებთან ჰარმონიზაციის სამუშაოთა დაგეგმვა და რეალიზაცია.

ენერგორესურსების მიწოდება-განაწილებისა და ბაზრის რეგულირების ნათელი და გამჭვირვალე, ჯანსაღი კონკურენციის ხელშემწყობი ინსტიტუციონალური და საერთაშორისო კანონმდებლობასთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ცვლილებები უზრუნველყოფს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებას და ინვესტორთა დაინტერესებას, კერძო სექტორის ფართო მონაწილეობის წახალისებას საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ამადლების მიზნით. ამისათვის საჭიროა განხორციელდეს საცალო მიწოდებისა და დისტრიბუციის ფუნქციების რეალური გამიჯვნა, რაც სექტორში მონოპოლისტური სტრუქტურების ჩამოყალიბების პროფილაქტიკისა და კონკურენციის ხელშემწყობის საუკეთესო საშუალება იქნება.

გარდა ამისა, როგორც ანალიზი აჩვენებს, განსაკუთრებული ძალისხმევა არის საჭირო ბაზრის სტრუქტურის, საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულებების და გამჭვირვალობის მკვეთრი გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი სათბობი რესურსების იმპორტისა და ტრანზიტის, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული აქტივების პრივატიზაციის ან გასხვისების სხვა ფორმების, ბაზრის ლიბერალიზაციის და სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხებზე პოლიტიკური ინიციატივებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის გამჭვირვალობა ფართო საჯაროობის პირობებში ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ქვეყნის მდგრადი განვითარებისათვის, მათ შორის ქვეყნის ენერგეტიკული და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

საქართველოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ევროპასა და ჩრდილოეთ ატლანტიკურ ბლოკთან ინტეგრაცია, რაც რეგიონულ ენერგეტიკულ სტრუქტურებში ინტეგრაციასაც გულისხმობს. ამ მიზნის მიღწევისათვის ძირითადი ორიენტირები მოწოდების წყაროებისა და მარშრუტების დივერსიფიკაციის შემდეგ უნდა იყოს ინფრასტრუქტურის განვითარება, სტრატეგიული მარაგების უზრუნველყოფა და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია, ევროკავშირის ანალოგიური, გახსნილი და კონკურენტული ბაზრის ჩამოყალიბების საბოლოო მიზნით. ბაზრის ლიბერალიზაციის ევროპული მოდელისა და მესამე ენერგეტიკული პაკეტის ძირითადი პრინციპების იმპლემენტაცია ენერგეტიკულ სექტორში წარმოადგენს ერთგვარ, ამასთან მნიშვნელოვან შეფასების კრიტერიუმს, იმის დასტურად, თუ რამდენად შესწევს ქვეყანას უნარი, წარმატებით გაართვას თავი პროგრესულ გლობალურ სტრუქტურებში საკუთარი ეკონომიკის ინტეგრაციის რთულ და საპასუხისმგებლო პროცესს.